სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 5 თებერვალი 2005 №24 (2347) ფასი 50 თეთრი

რეინჯერსს იაშვილის რეინჯერსელობა უნდა

მაკლიშმა ახალი ქართველი შეაქო



ბოლნისური ამბები იმნაძით და ყირიმით

სიონს ახალი მფვრინელი ჰყავს



გიორგი დემეტრაძე მალაგაში?

გაეხეთ ნავსი და პორტუგალია!

ბადრი კეთილაძის ფოტო

თუ რაგბის ქომაგი ხართ, დღეს საღამოს ექვს საათზე ტელევიზორთან მოკალათება არ დაგავიწყდებათ. და მაინც, შეგახსენებთ: ამ დროს პირველ არხზე ის თამაში დაიწყება, რომელიც დიდწილად გაარკვევს საქართველოს ნაკრების 2007 წლის მსოფლიოს თასზე გასვლის პერსპექტივას. ქართული ბორჯღალი ბოლო წლებში ყინჩად თავაწეულ პორტუგალიელ „ლობოსებს“ მათსავე დედაქალაქ ლისაბონში შეერკინება. ეს ის პორტუგალიაა, შარშან თბილისში რომ მოგვიგო და შარშანწინაც რომ გაგვამწარა, მაგრამ ერთმა გუნდმა მეორეს ზედიზედ სამჯერ რომ აჯობოს, მასზე სამი თავით მაღლაც უნდა იდგეს. ვითომ ასეა პორტუგალიურ-ქართული სარაგბო ამბავი?! მოკლედ, დღეს ნავსის გატეხვის დღეა, მით უმეტეს, მიმდინარე ერთა თასი ომახიანად დავიწყეთ და სადაც კრასნოდარი, იქ ლისაბონიც...

ჭიდაობას რა უნდა? ევროპა და მედლები



ბადრი კეთილაძის ფოტო

რეინჯერსს იაშვილის რეინჯერსელობა უნდა

ითამაშე და ისწავლე ინგლისური

20 წლის სანდრო იაშვილი გლაზგოდან თბილისში ზეგ უნდა ჩამოვიდეს და ახალგაზრდულ ნაკრებს შეუერთდეს ლიტვისწინა შეკრებაზე.

სანდრო თბილისში „რეინჯერსიდან" მოდის და კარგი ამბებიც მოაქვს — საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „რეინჯერსი" იაშვილს თავისთან დაიტოვებს. ამის თქმის საფუძველს კი ის იძლევა, რაც გუშინ იაშვილმა გვითხრა სატელეფონო საუბრისას

— ახლახან ამხანაგური მატჩი ითამაშე „რეინჯერსში" — საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩი?

— შოტლანდიის პირველი ლიგის ერთ-ერთ გუნდს შევხვდით და მართლა კარგად ვითამაშე.

— „რეინჯერსის" მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა რა გითხრა?

— მას ჩემი თამაში მოეწონა, მითხრა, ყოჩაღო.

— კვირაზე მეტია, რაც „რეინჯერსში" ხარ გასინჯვაზე — ძალიან ძნელია „რეინჯერსში" დამკვიდრება?

— ძნელია, რადგან დიდი კონკურენციაა, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია — სავსებით შესაძლებელია, რომ რეინჯერსელი გავხდე.

— „რეინჯერსის" ვარჯიშებზე ძალიან იღლები?

— არა, დიდ დაღლას ნაღდად არ ვგრძნობ. ისე კი, აქ სულ სხვა, ძალიან მაღალი დონეა, სულ სხვა ვარჯიშებია, ვიდრე საქართველოში.

— შენი გლაზგოური დღის გრაფიკი როგორია?

— სახლი-ვარჯიში-სახლი.

— შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი რჩევებს ხშირად გაძლევენ?

— კი, ისინი თავიანთ გამოცდილებას მიზიარებენ. ახლა ასეთი დიდი შანსი მომეცა და უტვინო უნდა იყო, მათ რომ არ დაუჯერო — ყველანაირად ვცდილობ, მათი რჩევები გამოვიყენო.

— მაკლიში საბოლოო პასუხს როდის გეტყვის გუნდში აყვანა-არაყვანაზე?

— ვნახოთ, ყველაფერი კარგად მიდის. გუშინ მაკლიშმა მითხრა, ძალიან კმაყოფილები ვიქნებით, თუ ჩვენი ფეხბურთელი გახდებიო. მაკლიშმა ისიც მითხრა, თბილისში რომ ჩახვალ, ინგლისურის სწავლას აუცილებლად შეუდექიო.

— ლიტვასთან მატჩისთვის თბილისში რომ დაბრუნდები, მერე რა როგორ იქნება?

— დავრჩები და „თბილისში" ვითამაშებ. ახლა „რეინჯერსში" მაინც ვერ გადავიდოდი, რადგან სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა. მაკლიშმა მითხრა, მთავარია, ახლა ითამაშო და ახალგაზრდულ ნაკრებში მარტის ბოლოსაც მიგიწვიონო. შესაძლოა, ლიტვასთან მატჩზეც ჩამოვიდეს ვინმე „რეინჯერსიდან" ჩემი თამაშის სანახავად. გლაზგოში ალბათ კიდევ მომიწევს ჩამოსვლა...

დავით თავართქილაძე



გუშინ დოლბანდაძეების ფოტო

ბაბარე ჯეირანიშვილის ფოტო

„სიონის" ახალი თავები: მწვრთნელი გიგლა იმნაძე და კონსულტანტი კახა ცხადაძე

ბოლნისური ამბები იმნაძით და ყირიმით

ბოლნისის „სიონს" ახალი მწვრთნელი ჰყავს — გიგლა იმნაძე. ეს ამბავი გუშინ გადაწყდა, მწვრთნელმა უკვე გუნდთან შეხვედრა და პირველი ვარჯიშის ჩატარებაც მოასწრო.

გიგლა იმნაძე, ლანჩხუთის „გურიას" ყოფილი მეკარე, ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთ გამოცდილ სპეციალისტად ითვლება და სამწვრთნელო სტაჟითაც ბევრი ვერ შეედრება. იმნაძე ადრე თავკაცობდა „გურიას", რუსთავის „გორდას" ფოთის „კოლხეთს", თბილისის „სპარტაკს", საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს; იყო „ლოკომოტივის" მწვრთნელის თანაშემწე, ბოლნისამდე კი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკში" მუშაობდა.

ვის როდის გაახსენდა „სიონის" მწვრთნელად გიგლა იმნაძის დანიშვნა, ვერ გეტყვით, თუმც ბოლნისელთა ეს არჩევანი ურიგო არ უნდა იყოს. მით უმეტეს, „სიონის" ბედით რაიონის ხელმძღვანელობა და საარქიო საზოგადოება „მადნეული" უკვე სერიოზულად დაინტერესდნენ და გუნდს 10-დღიანი იალტური შეკრებაც გაუხერხეს.

ბოლნისელები ყირიმში დღეს მიემგზავრებიან და ზღვის პირას 15 თებერვლამდე დაჰყოფენ. „სიონს" ამხანაგურ შეხვედრათა გრაფიკი ბოლომდე დაზუსტებული არ აქვს, თუმც იციან, რომ მატჩები 10, 12 და 14 თებერვალს ექნებათ.

ბოლნისელთა შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები არ არის ჯერჯერობით გუნდში ახალი ფეხბურთელები არც ახალ მწვრთნელს მიუყვანია. ის კი გავიგეთ, რომ იალტის შეკრებას „სიონთან" ერთად კახა სიდამონიძე, დავით ბაქრაძე და დავით დათვაძეც გაივლიან. ბოლნისელებს ყირიმზე სულ 26 ფეხბურთელი მიჰყავთ.

ერთიც: „სიონის" კონსულტანტად 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი კახა ცხადაძე დაინიშნა.

კოტა ინასარიძე

ქირესს დემეტრაძე არ გაუკვირდება

გიორგი მალაგას ურიგდება

გიორგი დემეტრაძე და მისი „მეტალურგი" უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის იქ ემზადებიან, სადაც თბილისის „დინამო" — ესპანურ მარბელაში.

დონეცკელებმა მზადების მეორე ეტაპი 1 თებერვალს დაიწყეს და ესპანეთში ერთი ამხანაგური მატჩიც გამართეს. „მეტალურგმა" ადგილობრივი „მარბელა" 2:0 დაამარცხა, მეორე გოლი ქართველმა ფორვარდმა გაიტანა.

ეს ინფორმაცია დიდად საინტერესო არ იქნებოდა (დემეტრაძეს ხომ გოლები ხშირად გააქვს), რომ არა ერთი ამბავი: მარბელაში საგანგებოდ ქართველ ფორვარდზე დასაკვირვებლად იმყოფებიან პრიმერადივიზიონის „მალაგას" წარმომადგენლები და როგორც ვიცით, მათ დემეტრაძეს ტრანსფერზეც ჩამოუგდეს სიტყვა. უფრო ზუსტად რა როგორ არის, ახლა ვერ გეტყვით, თუმც ის კი შევიტყვეთ, რომ ტრანსფერის მომლოდინე გიორგი დემეტრაძე, შესაძლოა, ლიტვასთან სანაკრებო მატჩზე არ ჩამოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, ეროვნული გუნდის თავკაცი ალენ ჟირესი საქმის კურსშია და დემეტრაძის ჩამოუსვლელობა არ გააკვირვებს.

დემეტრაძე-„მალაგას" ურთიერთობა ტრანსფერზე შეთანხმებით თუ დამთავრდა, გიორგი ამ კლუბში გადასვლას ზაფხულამდე მაინც ვერ შეძლებს, ევროპაში ხომ სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვარს დაიხურა.

იქამდე კი, ვიდრე დემეტრაძეს „მეტალურგში" გოლები გააქვს და „მალაგასთან" საქმეს ჩარხავს, გავიხსენოთ, რომ ქართველ ფორვარდს ესპანური პრიმერადივიზიონი სამი წლის წინ სან-სებასტიანის „სოსიედადში" დაუჭაშნიკებია.

კოტა ინასარიძე



ბაბარე ჯეირანიშვილის ფოტო

ინგლისი

ჩემპიონატი. XXXII ტური
ვულვზი 1:1 სანდერლენდი
მეორე ლიგა. XXXI ტური
ნორთჰემპტონი 2:2 კემბრიჯი
სუონსი 1:1 საუთენდი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური
კოტბუსი 1:1 ზაარბრიუკენი
დუისბურგი 4:1 ობერჰაუზენი
აინტრახტი 1:0 კიოლნი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXV ტური
კლერმონი 2:0 შატორუ
კრეტეი 2:0 სედანი
გენიონი 1:0 ლე ავრი
ლე მანი 1:0 გრენობლი
ნანსი 3:1 ანჟე
ლორიანი 1:1 ლავალი
ნიორი 0:0 დიჟონი
რეიმსი 0:0 ბრესტი
ამიენი 2:0 მონპელიე
გენგამი 0:1 ტრუა

ჰოლანდია

I დივიზიონი. XX ტური
ტილბურგი 3:1 ნაიმეგენი
გრაადსაპი 2:7 ფეიენოორდი
II დივიზიონი. XX ტური
ემენი 2:1 ეინდჰოვენი
ეძსელსიორი 2:2 ვენლო
იგლსი 1:2 ტელსტარი
ჰაარლემი 2:2 ზვოლე
ჰერაკლესი 3:0 აპელდორნი
ვოლენდამი 0:0 მაასტრიხტი

პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური
გიმარაეში : ბრაგა *გვიან დამთავრდა*

თურქეთი

სუპერლიგა. XIX ტური
გალათასარაი 5:1 გაზიანთეფი

იტალია

სერია C/B. XXII ტური
ლანჩიანო 1:0 სპალ

ამხანაგური მატჩი

სამხრეთ კორეა 0:1 ეგვიპტე



თბილისის აღდგენითი ელემენტები
ყველაფერი ორ დღეში გაირკვევა

„თბილისმა“ ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე რომ დააყენა და განაცხადა, 1986-89 წლებში დაბადებული ჯეელებით გავაგრძელებ ეროვნულ ჩემპიონატში და თასზე თამაშსო, ახალი ამბავი არაა, მაგრამ ახლა შესაძლოა, მთლად ასე არ მოხდეს ყველაფერი.

როგორც „თბილისის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, გუნდის საბოლოო სია 7 თებერვალს გაირკვევა. „შესაძლოა, ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელმა სათანადო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს და არ არის გამორიცხული, რომ „თბილისში“ ამდენიმე გამოცდილ მოთამაშეს ვუხმოთ. ისიც დასაშვებია, რომ ტრანსფერზე დაყენებული ზოგიერთი ფეხბურთელი გუნდში დავაბრუნოთ, თუმც აქცენტს ჩვენს საფეხბურთო სკოლაში აღზრდილ ახალგაზრდებზე გავაკეთებთ“ — ამბობს გუგეშაშვილი

„თბილისმა“ შარშან, შემოდგომაზე „დინამოსგან“ სანდრო იაშვილი ინათხოვრა, ვინც ახლა „რეინჯერსშია“ გასინჯვაზე და 9 თებერვალს ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩისთვისაა გამოძახებული. „თბილისს“ სურს, რომ იაშვილმა სეზონი მასთან ჩაამთავროს და ალბათ ასეც იქნება.

დავით თავართქილაძე

კორღალიძეს ტრავმა დააძალეს

ლიტვასთან 9 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესმა ნაკრებში „სკონტოს“ ნახევარმცველ ლევან კორღალიძესაც უხმო.

მერე გაირკვა, რომ კორღალიძეს ტრავმა ჰქონდა და თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, თუმც გუშინ „სკონტო“ — „კაუნასის“ ტესტ-მატჩის შემადგენლობა რომ ვნახეთ, სხვებთან ერთად მისი გვარიც ამოვიკითხეთ — ლევანმა მეორე ტაიმში შეცვლაზე ითამაშა. ჰოდა, ამ ამბის გაგარკვევად რიგაში დავრეკეთ...

„15-20 წუთი ვითამაშე, მაგრამ ფეხმა ისევ შემაწუხა. ნაკრებში ჩამოსვლა გამორიცხულია, ამის საშუალებას ტრავმა არ მაძლევს“ — აცნობა გუშინ კორღალიძემ.

„სკონტოს“ ქართველ ლიდერს ნოპერაციევი ფეხი გაუმიზეზდა. ყველაფრის თავიდათავი კი მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე“ თამაშია — ლევანს თურმე ხელოვნურ საფარზე თამაში აკრძალული ჰქონდა.

„ვინ დაგასვენა. ლამის შემჭამეს, უნდა ითამაშოო და აი, შედეგიც. ახლა რაღას შევცვლი, მთავარია, ფეხი მოვირჩინო. ჟირესის მადლობელი ვარ, მაგრამ ნაკრებში ჩამოსვლა უაზრობა გამოდის. ჩემ თავს ვერ ვაკადრებ, რომ ნაკრებში მოუმზადებელმა ვითამაშო. სხვა თუ არაფერი, ეს საკუთარი თავის შეურაცხყოფად მიმაჩნია“ — გვითხრა ლევანმა.



ქახა შალამბერიძე

მაღრაძე ქსანთიში დარჩა

ლიტვასთან 9 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ალენ ჟირესს გამოძახებულთაგან კიდევ ერთი ფეხბურთელი დააკლდა — თბილისში ვერ ჩამოვა ბერძნული „ქსანთის“ მცველი ლევან მაღრაძე, რომელიც გუნდის ვარჯიშზე დაშავდა და ამის თაობაზე უკვე ფეხბურთის ფედერაციასაც აცნობა.

ჟირესს მაღრაძის შემცვლელის ვინაობა ჯერ არ დაუსახელებია, თუმც ამას, ალბათ, არც გააკეთებს და ლიტველებს 18 ფეხბურთელით დახვდება.

მაღრაძემდე სალიტვო ნაკრებს გოგა გახოკიძე, ლევან კორღალიძე და ლადო ბურდული გამოაკლდნენ. მათ ნაცვლად კი ჟირესმა კვიპროსული „ანართოსისიდან“ გიორგი ქინქლაძეს დაუძახა. სხვათა შორის, ლევან მაღრაძე „ქსანთიმდე“ სწორედ კვიპროსზე, აელ-ში თამაშობდა.

ბალტიისპირელებთან მატჩისთვის ეროვნული გუნდი არასრული შემადგენლობით ხვალ ნაკრების ბაზაზე შეიკრიბება. ორშაბათიდან კი ჟირესი 18-ივე ფეხბურთელს ავარჯიშებს.

კოტა ინასარიძე

დინამო სტატისტიკის საფეხურებზე

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია ტრადიციას არ ღალატობს და მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბის განახლებული სია გამოაქვეყნა.

სასიამოვნოა, რომ ტოპ-350 გუნდში კიდევ ორი საფეხურით აიწია თბილისის „დინამომ“ და ახლა 178-ე ადგილზეა. დინამოელები უეფას თასზე რიგიანი თამაშის შედეგად მოხვდნენ საუკეთესოთა შორის და მას მერე თვიდან თვემდე აუმჯობესებენ მაჩვენებლებს.

ვერ გეტყვით, ზუსტად რა პრინციპით და შეხედულებით წერს ქულებს ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია, თუმც თავად ფაქტი, რომ „დინამო“ მსოფლიოს დიდ საკლუბო მარაქაში გაერია, ქართველ ქომაგს ახარებს. მით უმეტეს, ამ ფედერაციის მონაცემები მსოფლიოში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

„დინამოსგან“ განსხვავებით, ათი საფეხურით დაქვეითდა „თანამეგობრობის თასზე“ ჩაფლავებული „თბილისი“, თუმც 276-ე ადგილი სულ რაღაც ორი წლის გუნდისთვის ცუდი შედეგი არ უნდა იყოს.

ცხრილში ქართული გუნდების გარდა, პრადიციისამებრ, საუკეთესო ოცეულს და ქართველი ლეგიონერების გუნდების მაჩვენებლებსაც გთავაზობთ. აქვე შეგახსენებთ, რომ ეს მაჩვენებლები 2004 წლის 1 თებერვლიდან 2005 წლის 31 იანვრამდე მიღწეული შედეგების შეჯამებითაა გამოთვლილი.

ქახა შალამბერიძე

მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი
2004 წლის 1 თებერვალი - 2005 წლის 31 იანვარი

1	(2)	ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	270,0
2	(3)	მანჩესტერი (ინგლისი)	269,0
3	(8)	მონაკო (საფრანგეთი)	253,0
4	(1)	ვალენსია (ესპანეთი)	250,0
	(7)	სანტოსი (ბრაზილია)	250,0
6	(5)	არსენალი (ინგლისი)	249,0
7	(16)	ბრიუგე (ბელგია)	242,0
8	(13)	ჩელსი (ინგლისი)	238,0
9	(12)	სან პაულუ (ბრაზილია)	234,0
10	(6)	იუვენტუსი (იტალია)	232,0
	(10)	ნიუკასლი (ინგლისი)	232,0
12	(17)	ვილიარეალი (ესპანეთი)	231,0
13	(4)	რეალი (ესპანეთი)	227,0
14	(15)	ვერდერი (გერმანია)	225,0
15	(10)	მილანი (იტალია)	224,0
16	(19)	ინტერი (იტალია)	222,0
	(9)	პორტუ (პორტუგალია)	222,0
18	(21)	ბენფიკა (პორტუგალია)	219,0
19	(18)	სელტიკი (შოტლანდია)	217,0
20	(19)	ლიონი (საფრანგეთი)	216,0
26	(27)	შალკე (გერმანია)	193,0
49	(50)	რეინჯერსი (შოტლანდია)	152,5
72	(72)	დინამო (უკრაინა)	131,5
95	(94)	ვენტსპილსი (ლატვია)	116,0
132	(129)	სკონტო (ლატვია)	103,0
171	(167)	ლოკომოტივი (რუსეთი)	90,5
178	(180)	დინამო (საქართველო)	88,5
178	(180)	ცსკა (სოფია, ბულგარეთი)	88,5
205	(192)	სეპაჰანი (ირანი)	84,5
276	(266)	თბილისი (საქართველო)	70,5
286	(274)	მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა)	69,0
299	(337)	ტვენტე (ჰოლანდია)	67,5



თქვენი ინტერვიუ
ლევან კობიაშვილთან
<შალკე> გელზენკირხენი, გერმანია

ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახა ზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგ ზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე (შაბათის გარდა), მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ინგლისი

ირაკლი ნინიძე

სად არის ანელკა?!

სიტი მანჩესტერისთვის ითამაშებს

XXVI ტური

დღეს

ასტონ ვილა	:	არსენალი
ტოტენჰემი	:	პორტსმუთი
კრ. პალასი	:	ბოლტონი
ლივერპული	:	ფულემი
მანჩესტერი	:	ბირმინგემი
მიდლსბრო	:	ბლეკბერნი
ნიუკასლი	:	ჩარლტონი
ნორვიჩი	:	ვესტ ბრომვიჩი

ხვალ

საუთჰემპტონი	:	ევერტონი
ჩელსი	:	სიტი

საღლეისო ვითარება

ჩელსი	25	20	4	1	49:8	64
მანჩესტერი	25	15	8	2	41:16	53
არსენალი	25	15	6	4	55:29	51
ევერტონი	25	14	5	6	29:25	47
ლივერპული	25	12	4	9	38:26	40
მიდლსბრო	25	10	7	8	40:35	37
ჩარლტონი	25	11	4	10	29:35	37
ბოლტონი	25	10	6	9	34:32	36
ტოტენჰემი	25	9	6	10	30:29	33
სიტი	25	8	8	9	31:27	32
ასტონ ვილა	25	8	8	9	28:30	32
ნიუკასლი	25	7	9	9	36:42	30
პორტსმუთი	25	8	6	11	28:35	30
ბირმინგემი	25	7	8	10	29:31	29
ფულემი	25	8	5	12	32:41	29
ბლეკბერნი	25	5	10	10	21:35	25
კრ. პალასი	25	5	7	13	29:39	22
საუთჰემპტონი	25	3	9	13	26:41	18
ნორვიჩი	25	2	11	12	23:47	17
ვესტ ბრომვიჩი	25	2	11	12	21:46	17

ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტურიდან ტურამდე ნელ-ნელა უახლოვდებოდა „არსენალს“, წინა ტურში კი ლახვარიც ჩასცა და ჩამოიცილა. ახლა იუნაიტედელთა წინ მხოლოდ „ჩელსია“, მაგრამ „ჩელსი“ ის გუნდი არ არის, ამხელა უპირატესობით გაჭრილმა ქულების არხეინად ფლანგვას რომ მიჰყოს ხელი.

„ჩელსი“ ხვალ „სტემფორდ ბრიჯზე“ მანჩესტერელთა მეორე გუნდს მასპინძლობს და ჰოლანდიელი გარემარბი არიენ რობენი, გერმანელი მცველი რობერტ ჰუთი და პორტუგალიელი რიკარდუ კარვალიუ არ ეყოლება. მაგრამ ამათი არყოფნის მიუხედავად, ლონდონელებისთვის „სიტი“ მაინც იოლი ლუკმა უნდა იყოს. ერთი გარემოება კი მაინც გასათვალისწინებელია: „სიტი“ ერთადერთი გუნდია ამ სეზონში, „ჩელსის“ დამარცხება რომ შეძლო. გეხსომებათ, ოქტომბერში სიტელებმა მეტოქე ნიკოლა ანელკას გოლით დაამარცხეს. ოღონდაც ანელკა ერთი კვირის წინ სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ გადავიდა.

„მანჩესტერი“ კი „ბირმინგემს“ მასპინძლობს. ფრანგი მცველი მიკაელ სილვესტრი დღეიდან დაიწყებს სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდას, რაც არსენალელი ფრედი ლიუნგბერგის გალახვისთვის დაიმსახურა. ბირმინგემელებმა კი, შეგახსენებთ, ახლახან „დეპორტივოდან“ იჯარით წაიყვანეს ურუგვაელი ვალტერ პანდიანი, რომელმაც ოთხშაბათს, სადებიუტო მატჩში, „საუთჰემპტონს“ გოლი გაუტანა და ეგებ, ალექს ფერგიუსონის ბიჭებთანაც ივარგოს.



ალექს ფერგიუსონის გუნდი „ჩელსის“ ერთადერთი კონკურენტია

„არსენალის“ საქმე კი ისეა, რომ მეორე ადგილისთვის თუ იბრძოლებს, ჩემპიონთა ლიგაში კვალიფიკაციის გაუვლელად რომ მოხვდეს. „მეთოფეები“ „ასტონ ვილას“ ბირმინგემში სტუმრობენ, რომელსაც წინა ტურში საოცარი უიღბლობა დაემართა — ხუან პაბლო ანხელმა ორი პენალტი წაახდინა. „არსენალთან“ ბირმინგემელებს უელსელი მცველი მარკ დილანი არ ეყოლებათ, ვინაც მუხლის ტრავმის გამო ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ლონდონელებსაც დაცვაში აქვთ პრობლემები — სოლ კემპბელს კოჭი აქვს დაშავებული, კოლო ტურეს კი ამ მატჩის მერე გასდის დისკვალიფიკაციის ვადა. ეს კი ნაშნავს, რომ „არსენალს“ დაცვაში ჯასტინ ჰოიტი და პასკალ სიგანი ეყოლება.

„არსენალს“ ცხრილში ორი ლივერპულელი გუნდი მოსდევს. ამათგან უფრო წინ მყოფი „ევერტონი“ საუთჰემპტონში თამაშობს. სტუმრებმა ახლახან ესპანელი მიკელ არტეტა კი შეიმატეს, მაგრამ ფეხბურთელი ტრავმირებული ჩაუვიდათ და დებიუტი როდის ექნება, ძნელი სათქმელია. ასევე უცნობია სტივ უტსონის დაბრუნების დროც. თუმც ევერტონელთა მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ სტუმრად შუა ნოემბრის მერე აღარ მოუგიათ.

„საუთჰემპტონმა“ კი ბოლო საშინაო შეხვედრაში „ლივერპული“ დაამარცხა და პრემიერლიგაში დარჩენის იმედიც მიეცა, მაგრამ დარჩენა-გადარჩენამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

„ლივერპული“ ამ ტურში „ფულემს“ მასპინძლობს. ფერნანდო მორიენტესმა როგორც იქნა, გაიტანა თავისი პირველი ლივერპულული გოლი და ახლა მეორეს ეშურება. ჩეხმა ვლადიმირ შმიცერმაც მოიშუშა მუხლის ტრავმა. „ფულემი“ კი 2005 წელს დაუმარცხებია.

ოსიამოვნით ოლდ ტრეფორდზე

„მანჩესტერ იუნაიტედმა“, როგორც იქნა, მიიღო „ოლდ ტრეფორდის“ რეკონსტრუქციის უფლება.

ამ გეგმით „ოლდ ტრეფორდი“ 76 ათას მაყურებელს დაიტევს. ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტრიბუნებს 7,900 ადგილი დაემატება.

სამუშაო 45 მილიონი გირვანქა დაჯდება და 2006-2007 წლების სეზონის წინ მოესწრება. ეს ყოველწლიურად დამატებით 5 მილიონ გირვანქას მოუტანს კლუბს.

გეგმის განხორციელების შემდეგ, „ოლდ ტრეფორდი“ ტევადობით გადაუსწრებს კარდიფის „მილენიუმს“ (72 ათასი ადგილი) და მხოლოდ მშენებარე ახალ „უემბლის“ (90 ათასი ადგილი) ჩამორჩება.

„არსენალის“ ახალი სტადიონი აშბარტონ გროუვზე მხოლოდ 60 ათას მოსეირეს დაიტევს.

ირაკლი გამყრელიძე

ეშმაკი ჟოზე

„ჩელსის“ მენეჯერმა ჟოზე მაურინიუმ მოხერხებულად ილაპარაკა იმ სკანდალის შესახებ, მისი და არსენალელი ეშლი კოულის საიდუმლო შეხვედრის გახმაურებას რომ მოჰყვა. „არსენალმა“ ამ ამბის გამო მტკიცე პროტესტი გამოთქვა და სალიგო გამოძიებაც მოითხოვა, „ჩელსის“ უფროსობამ კი მიკიბ-მოკიბა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ უარყო შეხვედრის ფაქტი.

ჰოდა, გუშინ მაურინიუმ მოულოდნელად და ეშმაკურად განაცხადა: „კოული ინგლისის საუკეთესო მცველია. რაც შეგვეხება ჩვენ, ზაფხულში ორ ფეხბურთელს ვიყიდით. აქედან ერთი, მარცხენა მცველი იქნება, იმიტომ რომ ამ პოზიციაზე მხოლოდ ერთი მოთამაშე გვყავს. ახლა მარტო ის ვიცი, ვინც მოვა, ძალიან კარგი ფეხბურთელი უნდა იყოს, რომ ვიყიდოთ“.

თუკი დამტკიცდება, რომ მაურინიუ მართლა შეხვდა კოულს „როიალ პარკ ჰოტელში“, მაშინ პრემიერლიგის **ჯ-3** წესი ამოქმედდება, რომელიც ერთი კლუბისგან, მეორე კლუბის ფეხბურთელთან შემოვლით ლაპარაკს კრძალავს.

„არსენალმა“ კი საჩქაროდ წამოიწყო მოლაპარაკებები კოულთან, რომელსაც ორწელიწადნახევარი კიდევ დარჩა ამ კლუბში სათამაშო, მაგრამ „მეთოფენი“ ახალ პირობებს სთავაზობენ.

მაურინიუმ, ასევე გამოაცხადა, რომ მისთვის სასურველი მეორე მოთამაშეც „დიდი ფეხბურთელია“ და ყველამ ცხადია, „ლივერპულისკენ“ გაიხედა, სადაც სტივენ ჯერარდი თამაშობს. „ჩელსის“ მენეჯერმა ღიად ერთადერთი რამ გამოაცხადა: დევიდ ბექემს ნამდვილად არ ვიყიდითო.

ირაკლი გამყრელიძე

იტალია

ვაჟა ხუციშვილი

ნედვედმა მუხლი გაშალა
წლეულს რეჯინა გაინტერდა

XXIII ტური

დღეს

სამპდორია	:	ფიორენტინა
პალერმო	:	იუვენტუსი

ხვალ

რომა	:	ბოლონია
პარმა	:	ინტერი
მილანი	:	ლაციო
კალიარი	:	ლეჩე
ატალანტა	:	ლივორნო
კიევო	:	მესინა
რეჯინა	:	სიენა
ბრეშა	:	უდინეზე

სადღეისო ვითარება

იუვენტუსი	22	15	5	2	38:13	50
მილანი	22	13	6	3	39:15	45
ინტერი	22	8	14	0	42:27	38
უდინეზე	22	11	4	7	31:21	37
სამპდორია	22	10	5	7	23:17	35
რომა	22	9	7	6	41:33	34
პალერმო	22	8	8	6	21:16	32
რეჯინა	22	8	7	7	21:22	31
ბოლონია	22	8	6	8	24:21	30
კალიარი	22	8	6	8	30:35	30
ლეჩე	22	7	8	7	38:39	29
ლივორნო	22	7	6	9	25:29	27
მესინა	22	7	6	9	27:36	27
კიევო	22	6	7	9	20:32	25
ლაციო	22	6	6	10	28:33	24
ფიორენტინა	22	5	8	9	21:27	23
პარმა	22	5	7	10	22:35	22
სიენა	22	3	11	8	18:30	20
ბრეშა	22	5	5	12	15:28	20
ატალანტა	22	1	8	13	15:30	11

ტურინის „იუვენტუსმა“ შინ „სამპდორიასთან“ წაგებით „მილანს“ კარგი საჩუქარი მიუძღვნა, მილანელებმაც შეირგეს და ლიდერთან სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს. ანდრეი შევჩენკოს გარეშე დარჩენილმა „შავ-წითლებმა“ მესინაში გაილაღეს, ხვალ კი „ლაციოს“ მასპინძლობენ, რომელსაც აგერ, უკვე ზედიზედ ოთხი ტურია არ მოუგია.

შევჩენკო ალბათ კვლავაც ვერ ითამაშებს, რომაელებს კი სეზარი, ჯულიანო ჯანიკედა და ფერნანდუ კოუტუ დაუბრუნდებათ.

„იუვენტუსი“ სიცილიაზე პალერმოელებს ესტუმრებიან და ძირითად შემადგენლობაში შესაძლოა, მინდორზე მუხლმოშუშებული პაველ ნედვედიც გამოჩნდეს, ხოლო მაურო კამორანეზი დისკვალიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ „პალერმოს“ შუა დეკემბრის შემდეგ შინ მატჩი არ მოუგია.

დინო ძოფმა ფლორენციის „ფიორენტინა“ ჩაიბარა და გუნდთან ერთად ცხრილის ფსკერზე ეშვება, რადგან ჯერ გამარჯვება ვერ დააგემოვნა. „იებს“ ხვალაც გაუჭირდებათ, „სამპდორიას“ სტუმრობენ, რომელმაც თვით „იუვენტუსს“ აფცქვნა სტუმრად სამი ქულა.

„ატალანტა“ სეზონში მეორე მოგებისთვის „ლივორნოს“ შეებრძოლება. ბერგამოელებს ბოლო ორი მატჩი „იუვესთან“ და „ინტერთან“ ჰქონდათ. ცხადია, ორივე წააგეს. ამიტომ „ლივორნოსთან“ მოსაგებად, თქმა არ უნდა, ყველაფერს გაიღებენ.

„უდინეზემ“ სამმატჩიანი მარცხიანი სერია „კიევოსთან“ გამარჯვებით შეწყვიტა, ახლა კი „ბრეშას“ „სტადიო რიგამონტიზე“ ესტუმრება. ბრეშელებიც ქვედა სამეულში ცოდვილობენ და ეგებ ანდრეა კარაჩოლოსა და ახალგადაბირებული მარკო დელვეკიოს წყალობით უდინელებთან გამარჯვება შეძლონ.

„კალიარი“ ცხრილის მეზობელ „ლეჩეს“ მიიღებს, რომელიც ვალერი ბოჟინოვის გარეშეც არცთუ ურიგოდ გამოიყურება. ლეჩელებმა წინა ტურში კაცმეტ „რომას“ 0:1 გაუთანაბრეს და ბოლო სამ მატჩშიც შვიდი ქულა მოაქუჩეს. ზდენეკ ზემანის გუნდს სარდინიაზე ალბათ გაუჭირდება, რადგან ოთხი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული — მარკო კასეტი, გილერმო ჯაკომაცი, სამუელე დალა ბონა და კაპიტანი კრისტიან ლედესმა, რომელიც ფრანჩესკო ტოტის გასილაქებისთვის გააძევეს.

მილანის „ინტერი“ კვლავ მკითხაობის საგანია — როდის წააგებს რობერტო მანჩინის მრავალფრიანი გუნდი? ადრიანო ჯერ არ გამოკეთებულა, მაგრამ კრისტიან ვიერის და ობაფემი მარტინსის წყალობით „ინტერმა“ ბოლო ორი მატჩი მოიგო, შედეგად კი მესამე ადგილზე გადაბრძანდა. პარმელებმა თამაში გამოასწორეს და ხუთ ტურში ცხრა ქულა მიითვალეს, თუმც ისევ ცხრილის ქვედა ნახევარში ყურყუტებენ.

„რეჯინა“, რომელსაც წლეულს მატჩი არ წაუგია, „სიენას“ უმასპინძლებს. სიენელებმა მიჯრით ოთხი ფრე ითამაშეს, რეჯოკალაბრიაში კი ტრავმირებულ ნახევარმცველ როდრიგო ტადეის გარეშე ჩავლენ.

„რომა“ ნელ-ნელა მაღლა მიიწევს და ზედა ექვსეულში ფეხი უკვე მოიკიდა. ლუიჯი დელ ნერის შეგირდებს ბოლონიელებთან ჭიდილი ელით, გუნდთან, რომელიც კარგა ხანია, არ დამარცხებულა, ბოლო სამ ტურში კი სამივე თამაში მოიგო, მათ შორის სტუმრად „მილანთანაც“.



„იუვენტუსს“ შესაძლოა, დღეს პაველ ნედვედი დაუბრუნდეს

გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

პირველი წრის მატჩში „ლევერკუზენმა“ „ბაიერნი“ 4:1 გაანადგურა

შარვლები შეამოწმეთ
ჰილდებრანდის აბდაუბდა

XX ტური

დღეს

შტუტგარტი	:	ლაუტერნი
ჰანოვერი	:	დორტმუნდი
ბოხუმი	:	არმინია
ბაიერნი	:	ლევერკუზენი
მაინცი	:	ჰერტა
ნიურნბერგი	:	ჰამბურგი
ჰანზა	:	შალკე

ხვალ

გლადბახი	:	ფრაიბურგი
ვოლფსბურგი	:	ვერდერი

სადღეისო ვითარება

ბაიერნი	19	11	5	3	36:20	38
შალკე	19	12	1	6	28:24	37
შტუტგარტი	19	10	4	5	37:25	34
ლევერკუზენი	19	9	5	5	35:25	32
ვერდერი	19	9	4	6	40:23	31
ჰანოვერი	19	9	4	6	25:19	31
ჰერტა	19	7	9	3	30:17	30
ვოლფსბურგი	19	10	0	9	33:29	30
ჰამბურგი	19	9	1	9	32:29	28
ლაუტერნი	19	8	3	8	27:27	27
ნიურნბერგი	19	6	6	7	33:31	24
არმინია	19	7	3	9	19:25	24
დორტმუნდი	19	5	7	7	20:24	22
მაინცი	19	6	4	9	27:32	22
გლადბახი	19	5	6	8	22:31	21
ბოხუმი	19	3	6	10	25:41	15
ფრაიბურგი	19	3	6	10	15:38	15
ჰანზა	19	2	6	11	15:39	12

„ლევერკუზენის“ ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა ერთხელ თქვა, ჩემი გუნდი მიუნხენში „ბაიერნთან“ სათამაშოდ რომ მიდის, შიშისგან გზაშივე უსველდებათ შარვლებიო.

ახლა კი „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა, „ბაიერნი“ დღეს ბუნდესლიგაში საუკეთესო გუნდიაო, რაზეც ლევერკუზენელმა კოლეგამ კლაუს აუგენტალერმა მოსწრებულად უპასუხა: „ვიმედოვნებ, მაგათი მატჩის შემდეგაც იგივეს გაიმეორებს“.

პირველ წრეში „ფარმაცევტებმა“ „ბაიერნს“ 4:1 მოუგეს და მიუნხენელებს, ცხადია, რევანში სწყურიათ. მასპინძლებს ბიქსენტ ლიზარაზუ და მეჰმეთ შოლი ჰყავთ ტრავმირებული — მათი თამაში საეჭვოა.

„ჰანზას“ შემადგენლობაში — რომელიც გელზენკირხენის „შალკეს“ მასპინძლობს — შესაძლოა, იარი ლიტმანენის დებიუტი შედგეს. „ხუმარებს“ დაშავებული მარსელო ბორდონი, ნილს უდე კამპუისი და გუსტავო ვარელა ვერ დაეხმარებიან, ლევან კობიაშვილი და ჯერალდ ასამოა კი დისკვალიფიცირებულნი არიან. თუნდაც ასეთ ვითარებაში, „შალკემ“ ბოლო ადგილზე მოყუჩებულ „ჰანზას“ უნდა მოუგოს, თუ ჩემპიონობაზე პრეტენზია კიდევ აქვს.

„შტუტგარტმა“ ერთი კვირის წინ შინ მოულოდნელად „ნიურნბერგთან“ წააგო და ახლა მოყოჩაღებულ „კაიზერსლაუტერნს“ დაუხვდება. მათიას ზამერის გუნდმა ბოლო ორ შეხვედრაში ექვსი გოლი გაუშვა, რაც დაცვის სისუსტეზე მეტყველებს. გარდა ამისა, ტიმო ჰილდებრანდმა ჯერ ვერ გადაწყვიტა, წავა თუ დარჩება, რაც მათიას ზამერს სანერვიულოს უმატებს. ამიტომაც უთხრა მწვრთნელმა მეკარეს, კვირის ბოლომდე დააზუსტე, წახვალ თუ კონტრაქტს გააგრძელებო. კურტ იარას შეგირდები კი კონტრშეტევებზე საუცხოოდ თამაშობენ და სწორედ ამ ხერხით აჯობეს „შალკეს“ წინა ტურში.

„ვოლფსბურგმა“ მეორე წრე ძალიან ცუდად დაიწყო. ჯერ შინ დამარცხდა დორტმუნდის „ბორუსიასთან“, მერე კი სტუმრად იგივე დაემართა „ფრაიბურგთან“. ერიკ გერეტსს დაშავებული ანდრეს დალესანდრო და დიეგო კლიმოვიჩი დააკლდება, ხოლო „მგლების“ მეტოქე „ვერდერს“ ფრანგი მცველი, ვალერიან ისმაელი ჰყავს დისკვალიფიცირებული.

„ჰანოვერი“ დორტმუნდის „ბორუსიას“ უმასპინძლებს, რომლის მწვრთნელიც გუნდის „ჩავარდნას“ უფინანსობას აბრალებს. ვალებში ჩაფლულ დორტმუნდელებს სპონსორი ჯერ არ გამოსჩენიათ, ბერტ ვან მარვეიკი კი ამბობს, ნაადრევად პოსტის დატოვებას არ ვაპირებ, კონტრაქტის დასრულებამდე „ბორუსიას“ თავკაცი ვიქნებიო.

ჰანოვერელებმა სატრანსფერო თვეში სერბი ფორვარდი ველიკო პაუნოვიჩი შეიძინეს და მისი დებიუტი ეგებ დღეს შედგეს.

„მაინცის“ დაცვას გვარიანად გაუმართლა, რადგან ბერლინის „ჰერტას“ დისკვალიფიცირებული მთავარმეგოლე მარსელინიო დააკლდება. მაინცელებს მიჯრით ხუთი მატჩია არ მოუგიათ და პირველ წრეში დაგროვილი ქულებით საზრდოობენ, მაგრამ მარაგი ნელ-ნელა ელევათ.

ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე გოლუხვი ლეგიონერი (133 გოლი 256 მატჩში) ჯოვანი ელბერი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გადავიდა, მაგრამ ვერ ითამაშებს, რადგან ბოლომდე არ გამოკეთებულა. გლადბახელები „ფრაიბურგის“ ძლევას უელბეროდ შეეცდებიან, თუმც ფოლკერ ფინკეს გუნდმა თამაში გამოასწორა და იოლად არავის დაეჩაგვრინება.

XXII ტური

დღეს

რეალი	:	ესპანიოლი
სოსიედადი	:	ვალენსია

ხვალ

დეპორტივო	:	ბილბაო
ბარსელონა	:	ატლეტიკო
ვილიარეალი	:	რასინგი
ლევანტე	:	სევილია
ალბასეტე	:	სარაგოსა
ვალაგა	:	მალიორკა
ბეტისი	:	ოსასუნა
ხეტაფე	:	ნუმანსია

საალბათური ვითარება

ბარსელონა	21	16	3	2	43:14	51
რეალი	21	14	2	5	37:16	44
ვალენსია	21	10	7	4	32:18	37
ესპანიოლი	21	10	5	6	26:20	35
სევილია	21	10	5	6	23:23	35
ვილიარეალი	21	9	7	5	35:17	34
ბეტისი	21	9	7	5	30:23	34
ბილბაო	21	8	6	7	32:27	30
ატლეტიკო	21	8	5	8	22:20	29
ოსასუნა	21	8	5	8	32:34	29
დეპორტივო	21	6	10	5	30:30	28
სარაგოსა	21	8	4	9	27:32	28
ლევანტე	21	7	4	10	25:33	25
ხეტაფე	21	6	5	10	21:25	23
სოსიედადი	21	6	4	11	23:30	22
რასინგი	21	5	6	10	19:31	21
მალაგა	21	6	3	12	15:30	21
ალბასეტე	21	4	8	9	18:29	20
მალიორკა	21	4	5	12	21:36	17
ნუმანსია	21	3	5	13	13:36	14

ესპანეთი

დადო ხომერიეი

კამპ ნოუზე ალბერტინი მადრიდელიც იქნება

ფერნანდო ტორესს „ბარსელონას“ ჩემპიონობა არ აეპვებს

დემეტრიო ალბერტინი ყოფილ თანაგუნდელებსაც მოიკითხავს

„გუნდმა თუ ასე თამაში ბოლომდე გააგრძელა, „ბარსელონა“ უეჭველად პრიმერადივიზიონის ჩემპიონი გახდება. ბოლო დროს ხალხი ალაპარაკდა, რაიკარდის ბიჭები დასუსტდნენ, გადაიღალნენო, თუმც „სევილიასთან“ ფანტასტიკურმა 4:0 მოგებამ კრიტიკოსები გააჩუმა“ — წერს გუშინდელი ესპანური „მარკა“, ხოლო ამ სიტყვების ავტორი უბრალო ჟურნალისტი კი არა, კატალონიელთა სახვალიო მეტოქე, მადრიდელი ფერნანდო ტორესია.

მოკლედ, „ბარსა“ „კამპ ნოუზე“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობს და ტურის ცენტრალური მატჩიც ბუნებრივია, ესაა.

„ბარსელონამ“ წინა ტურში „სევილიას“ აუგო ანდერძი მისსავე „სანჩეს პისხუანზე“ და ვინძლო ზედ „ატლეტიკოც“ მიაყოლოს.

„ატლეტიკო“ დიდი წარსულის მქონე კლუბია, რომელთაგან ჯახის დროსაც ყველა მოწინააღმდეგეს დიდ სიფრთხილეს ვურჩევდი“ — აღნიშნავს დემეტრიო ალბერტინი, ყოფილი ატლეტიკოელი. თუმც დემეტრიოს მაშინდელი თანაგუნდელებიდან მადრიდულ კლუბში ახლა მხოლოდ ფერნანდო ტორესი, ხორხე, გარსია კალვო და კარლოს აგილერა დარჩნენ.

ფრანკ რაიკარდის სასტარტო თერთმეტეულში რაიმე რაიმე ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ჰოლანდიელი მინდორზე ზუსტად იმათ გაიყვანს, „სევილია“რომ აღგავეს მიწისაგან პირისა.

სტუმრებს პეტერ ლუქსენი დააკლდებათ — ფრანგი ნახევარმცველი დისკვალიფიცირებულია და მადრიდელთა თავკაცი სეზარ ფერანდო მის ნაცვლად სავარაუდოდ, ურუგვაელ მარსელო სოსას ათამაშებს. ვერ ითამაშებს ფეხმტკივანი გარსია კალვოც, დანიელმა იესპერ გრონკიაერმა კი მცირე ტრავმა მოიშუშა და თამაშსაც შეძლებს.

ამ გუნდების ისტორიის სტატისტიკაშიც რომ ჩავიხედოთ, აღმოვაჩენთ, რომ „ბარსა“ და „ატლეტიკო“ „კამპ ნოუზე“ ერთმანეთს 67-ჯერ შეხვედრიან. ყველაზე დიდი ანგარიშით მასპინძლებმა 1952-53 წლების სეზონში მოიგეს 6:1, სტუმრებს კი ყველაზე მსუყედ 1966-ში უმარჯვიათ 4:1. წლეულს კი პირველი წრის მატჩი „ვისენტე კალდერონზე“ ფრედ, 1:1 დასრულდა.

ჯერაც მოქმედი ჩემპიონი „ვალენსია“ კი ხოსე ამორორტუს „სოსიედადს“ ხვდება. მეთხუთმეტეადგილოსანმა ბასკებმა „ვილიარეალთან“ წინა ტურში 0:4 წააგეს, თუმც მათი მოწინააღმდეგეც ქულებს დანატრებულია. „მესტალიელებს“ ამ ბოლო დროს საქმეები აეწეწათ და გაცოფებულმა კლაუდიო რანიერიმაც შეგირდები ღირსეულად შეამკო, ვიდრე ყელამდე განავალში არ მოხვდებით, იქამდე არხეინად ხართო.

ვალტერ პანდიანის გარეშე დარჩენილი „დეპორტივო“ ერნესტო ვალვერდეს „ბილბაოს“ მიიღებს. გალისიელთა შემადგენლობაში შესაძლოა, „მილანისგან“ ნაყიდი არგენტინელის, ფაბრიციო კოლოჩინის დებიუტი შედგეს, „ბილბაო“ კი შეეცდება, წაუგებელი ხანგრძლივი სერია (შარშანდელი 14 დეკემბრიდან) გააგრძელოს.

ფიგუს ოცნება ლამაზი სიზმარია



ჩემთვის ინგლისში თამაში ლამაზი სიზმარივითაა, მაგრამ სამწუხაროდ სიზმრები ხშირად არ ცხადდება — გაუმხილა ოცნება ლუიშ ფიგუმ მადრიდული „ასის“ კორესპონდენტს და ვფიქრობთ, მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელ ვარსკვლავთან ინტერვიუ თქვენც დაგაინტერესებთ

— ამბობენ, ფიგუს „რეალში“ თამაში უკვე მობეზრდაო. მართალია?

— არანაირად. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფეხბურთის თამაში სიამოვნებას მანიჭებს და მოედანზეც თავს კომფორტულად ვგრძნობ. ჯადოქარი კი ნამდვილად არ ვარ, ჩემი მომავალი ვიწინასწარმეტყველო.

— გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა თავისი მომავალი უკვე გაარკვია და „რეალთან“ ახალი კონტრაქტებიც გააფორმეს. თქვენ რას აპირებთ?

— არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, რადგანაც ხალხმა შესაძლოა, ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგოს. კონტრაქტზე აჩქარება არ არის საჭირო, თუმცა, როგორც ნებისმიერ ადამიანს, ცხადია, მეც მესიამოვნებოდა ჩემი მომავლის შესახებ ადრევე ეცნობებინათ.

— თუ მადრიდელებმა კონტრაქტის გახანგრძლივება არ შემოგთავაზეს, ახალი გუნდის ძებნა მოგიწევთ...

— რა თქმა უნდა. თუ კონტრაქტს არ განვაახლებ, სეზონის ბოლოს „ბერნაბეუს“ დავტოვებ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ყველაფერს, რაც „რეალისთვის“ გამიკეთებია, კლუბის შეფობა შეაფასებს. ისე კი გამოგიტყდებით და ძალიან ვლელავ. ფლორენტინო პერესთან შესანიშნავი ურთიერთობა კი მაქვს, მაგრამ...

— რონალდომ და ზიდანმა უკვე განაახლეს თავიანთი კონტრაქტები...

— ეს კლუბის პოლიტიკაა და მე ამაში არ ვერევი — პრეზიდენტის გადაწყვეტილებებს ფეხბურთელებმა პატივი უნდა ვცეთ. ერთადერთი, რისი თქმაც ახლა დანამდვილებით შემიძლია, ისაა, რომ სხვა ესპანურ კლუბში აღარ ვითამაშებ. უფრო ინგლისურ პრემიერლიგაზე ვფიქრობ. ჩემთვის ინგლისში ბურთაობა ლამაზი სიზმარივითაა, მაგრამ ვაი, რომ სიზმრები ხშირად არ ცხადდება.

— ახალი ხელშეკრულება უფრო მისაღებ პირობებზეა დამოკიდებული თუ ლუიშ ფიგუს ასაკზე?

— ამ შემთხვევაში ჩემს ოჯახზე. ოჯახი რომ არ მყავდეს, ეგებ კონტრაქტზე სხვანაირადაც გვემსჯელა. დღეს სტაბილურობაა უმთავრესი. მადრიდში თავს მეც და ჩემი ოჯახიც მშვიდად ვგრძნობთ.

— თქვენი თანამემამულე კრისტიანო რონალდო ინგლისურ გარემოს მშვენივრად შეეგუა...

— რონალდო ბრწყინვალე ფეხბურთელი პიროვნებაა. ალბათ, ინგლისს მეც ადვილად შევეწყობოდი. მომწონს იქაურობა.

— შვიდი ტიტული გაქვთ მოპოვებული „ბარსელონაში“ და შვიდიც „რეალში“...

— ჩემპიონატის დასასრულს ველოდები, რათა ეგ თანაფარდობა დავარღვიო. ცხადია, ძნელია ქვეყნის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის ერთად მოგება, თუმც „რეალი“ ორივე ჯილდოსთვის ბოლომდე რომ იბრძოლებს, ფაქტია. ლიდერთან შვიდქულიანი ჩამორჩენა ჯერ არაფერს წყვეტს. წინ კიდევ ბევრი მატჩი გველის, თანაც „ბარსელონას“ „ბერნაბეუზე“ უწევს ჩამოსვლა.

— და ერთიც. ხოსე მარია გუტის მარად სათადარიგოობა უსამართლოდ მიგაჩნიათ?

— მე მწვრთნელი არ ვარ, შესაბამისად ვერც ვერაფერს ვიტყვი. იმას კი დავძენ, გუტი ბრწყინვალე ფეხბურთელია.

თითქმის ცრემლიანი პრესკონფერენცია

იანსენის შვილებს სკოლაში ხელი ჰკრეს



იურგენ იანსენმა, უცოდველი ვარო

თაღლითობაში ეჭვმიტანილმა ბუნდესლიგელმა მსაჯმა იურგენ იანსენმა ბრალდება უარყო. მან შარშან, ნოემბერში „კაიზერსლაუტერნი“ — „ფრაიბურგი“ (3:0) ასაჯა და გამოძიება ეჭვობს, რომ იანსენი მასპინძელთა სასარგებლოდ უსრულებდა.

გუშინდელ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ბრალდებული ლამის ატირდა, ჩემი ოჯახის სიმშვიდე დაირღვა: „ბავშვები სკოლაში ვეღარ მიდიან, რადგან მათთან მეგობრობა აღარავის სურს და ყველა ეჩხუბება. ანგარებით არასოდეს მიმსაჯია. ჩემს ცხოვრებაში შეგავსი არაფერი ჩამიდენია. გარწმუნებთ, რომ ბუნდესლიგის ოცდაორივე მსაჯიდან მიკერძოებას ერთსაც ვერავინ დასწამებს. ჩვენ ერთი მაღალი კლასის გუნდივით ვართ. ამაში დაეჭვება შეუძლებელია, მაგრამ არბიტრი ხანდახან ცდება, ეს ხომ ფეხბურთის ნაწილია, შეცდომისგან კი დაზღვეული არავინაა. მოედანზე გადაწყვეტილებას მყისვე ვიღებთ, ყავის დალევისა და ორ-სამჯერ მომენტის გამეორების საშუალება არ გვაქვს“.

შეგახსენებთ, რომ სკანდალი 25 წლის რობერტ ჰოიზერისგან აგორდა, რომელიც ოთხი მატჩის „ჩაწყობაშია“ ბრალდებული, იურგენ იანსენი კი გამოძიებას სწორედ ჰოიზერმა „ჩაუკაკლა“.

გაგა ხუციშვილი

ზიდანმა ვადა დათქვა

ბექემის ედემი მადრიდია

„რეალის“ ფრანგმა გამთამაშებელმა ზინედინ ზიდანმა კიდევ ერთხელ თქვა, 2007 წელს ფეხბურთიდან საბოლოოდ წავალო. „სამეფო კლუბში“ აპირებს კარიერის დასრულებას დევიდ ბექემიც, თუმც ინგლისელი თამაშის შეწყვეტაზე ჯერ არ ფიქრობს, „რეალთან“ მის მოქმედ კონტრაქტსაც 2007 წლის ზაფხულში გასდის ვადა

„გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებ. 2007 წელს კი ნამდვილად წავალ ფეხბურთიდან. კარიერის უფრო ადრე დასრულება ჩემს გეგმებში არ შედის, მაგრამ გამორიცხული არაფერია. თუმცა, სანამ ვითამაშებ, ვეცდები კვლავ გამოვავლინო ყველა ჩემი შესაძლებლობა. თავს არ დავზოგავ“ — განაცხადა 32 წლის ზიდანმა.

გეცოდინებათ, ვეტერანმა ფრანგმა სანაკრებო კარიერა ევრო 2004-ის შემდეგ, თავისი ნებით დაასრულა. ზიდანს „ლურჯებში“ დაბრუნება არც უფიქრია, მაგრამ მცირე კომენტარი სიამოვნებით გააკეთა. „ზიზუს“ თქმით, საფრანგეთს მის გარეშეც შეუძლია სერიოზული წარმატების მიღწევა.

ზინედინ ზიდანი: „მართალია, ნაკრების წევრი არ ვარ, მაგრამ ყველაფერს ძალიან განვიცდი და როგორც თავგადაკლული გულშემატკივარი, საფრანგეთის მატჩს არ ვტოვებ. ახლა მთავარია, 2006 წლის მუნდიალის საგზური მოვიპოვოთ და მჯერა, ამას მოვახერხებთ კიდეც. ჩემი წასვლის შემდეგ გუნდში რაღაცეები კი შეიცვალა, მაგრამ ძირეული ცვლილებები არ ყოფილა და არც სერიოზული პრობლემები გვაქვს. უბრალოდ, მცირე ჩავარდნა გვქონდა“.

ბევრად უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი დევიდ ბექემი. ინგლისის ნაკრების კაპიტანს კარიერის დასრულება ჯერ აზრადაც არ მოსვლია, პირიქით, დიდი გეგმები აქვს.

„ამაზე ჯერ არც მიფიქრია, თუმც კარიერის დასრულება „რეალში“ მინდა და მჯერა, ასეც იქნება. ფეხბურთში ვერაფერს იწინასწარმეტყველებ, მაგრამ ამჯერად მგონი, მართალი ვარ. გუნდში კიდევ მრავალი წელიწადის გატარებას ვაპირებ. იქამდე ვითამაშებ, სანამ კლუბი მოისურვებს“ — დასძენს ბექემი.

როგორც ჩანს, ინგლისელს გასული ჩაგდებული წელი უკვე დავიწყდა და მხოლოდ მომავალზეა კონცენტრირებული. ბექემს, არც თავისი პოშმეულლე, ვიქტორია ადამსი-ბექემისა ჩამორჩა და აღნიშნა, მადრიდში ბედნიერად ვართო. ბოლოს კი ფეხბურთელმა ნახევრად იხუმრა, ჩვენი მესამე შვილი სწორედ აქ დაიბადება და ვინ იცის, ეგებ ესპანეთის ნაკრებშიც ითამაშოსო.

გიორგი ძაძაბაძე

იტალია

სერია A. XXII ტური

ბოლონია 3:1 პარმა

1:0 სუსი (54), 2:0 ამორუზო (72), 2:1 სორენტინო (87), 3:1 ბელუჩი (90)

ბოლონია: პალიუკა, ნასტაზე, ტორიზი, გამბერინი, სუსი, ზაგორაკისი, ჯუნტი (ლოვიზო 80), ჯ. ამორუზო (დაინო 88), ლოკატელი, ბელუჩი, ფერანტე (ლ. კოლუჩი 59)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

პარმა: ს. ფრეი, ბონერა, კარდონე, ბოვო, კონტინი (მორფეო 61), მარკიონი, სიმპლისიო, გრელა (ბოლანო 75), ბეტარინი, ჯილარდინო, ვინიაროლი (სორენტინო 66)

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

გაფრთხილება: გრელა, ბოლანო

მსაჯი: როდომონტი

13 000 მაყურებელი

სერია B. XXIV ტური

ალბინოლეფე 4:0 პესკარა

1:0 არაბონი (41), 2:0, 3:0 ტესტინი (54, 77), 4:0 გორძენო (90)

ასკოლი 2:2 არეცო

1:0 ბუკი (103), 2:0 კოლაჩონე (43), 2:1, 2:2 აბრუშატო (64, 70)

ბარი 1:1 ჩეზენა

1:0 სანტორუვო (36), 1:1 ბერნაჩი (63)

კატანია 2:0 კატანძარო

1:0 პადალინო (12), 2:0 ჯედა (38)

კროტონე 0:1 ვიჩენცა

0:1 ვიტიელო (62)

პიაჩენცა 1:0 მოდენა

1:0 დეგანო (64)

ტერნანა 1:1 ემპოლი

0:1 ბუშე (16), 1:1 ფრიკი (31)

ტრევიზო 1:0 პერუჯა

1:0 ბარეტო (90)

ტრიესტინა 1:0 სალერნიტანა

1:0 გოდეაში (90)

ვერონა 1:0 ვენეცია

1:0 ადაილტონი (78)

ჯენოა 0:0 ტორინო

ჯენოა	24	13	10	1	46:20	49
ვერონა	24	12	5	7	44:29	41
ემპოლი	24	11	8	5	34:21	41
ტორინო	24	12	5	7	29:22	41
ტრევიზო	24	12	5	7	29:25	41
პერუჯა	24	11	7	6	31:21	40
ასკოლი	24	10	7	7	32:30	37
პიაჩენცა	24	11	2	11	29:31	35
ალბინოლეფე	24	9	7	8	35:27	34
ჩეზენა	24	9	7	8	30:32	34
ვიჩენცა	24	9	4	11	36:39	31
კატანია	24	7	10	7	25:28	31
ტერნანა	24	7	9	8	25:27	30
არეცო	24	5	13	6	33:30	28
ბარი	24	6	11	7	24:24	28
მოდენა	24	9	5	10	25:27	28
ტრიესტინა	24	7	6	11	25:33	27
პესკარა	24	6	9	9	24:36	27
სალერნიტანა	24	6	6	12	28:39	24
კატანძარო	24	5	6	13	22:42	21
კროტონე	24	5	8	11	23:31	20
ვენეცია	24	4	6	14	16:31	18

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა

ესპანეთი

სამეფო თასი. 1/4 ფინალი. საკასუნო მატჩი

ვალიადოლიდი 0:1 ბილბაო (2:3)

0:1 იესტე (73პ)

ჰოლანდია

II დივიზიონი. XX ტური

სიტარდი — დორდრეხტი 1:1; ჰელმონდი — ვეენდამი 2:2; ოსი — კამბური 2:0

ირლანდია: ჯორდან მერფი, შეინ ჰორგანი, ბრაიან ოდრისკოლი (კაპ), გორდონ დარსი, დენის ჰიკი; რონან ოგარა, პეტერ სრინგერი; ენტონი ფოლი, დენის ლემი, საიმონ ისტერბი, პოლ ოკონელი, მალკოლმ ოკელი, ჯონ ჰეიესი, შეინ ბირნი, რეჯი კორიგანი

სათადარიგოები: ფრენკი შეანი, მარკუს ჰორანი, დონჩა ოკალაჰანი, ერიკ მილერი, გაი ისტერბი, დევიდ ჰემფრეზი, გირვან დემფსი

კალენდარი

II ტური

12 თებერვალი
იტალია — უელსი
შოტლანდია — ირლანდია

13 თებერვალი
ინგლისი — საფრანგეთი

III ტური

26 თებერვალი
შოტლანდია — იტალია
საფრანგეთი — უელსი

27 თებერვალი
ირლანდია — ინგლისი

IV ტური

12 მარტი
ირლანდია — საფრანგეთი
ინგლისი — იტალია

13 მარტი
შოტლანდია — უელსი

V ტური

19 მარტი
იტალია — საფრანგეთი
უელსი — ირლანდია
ინგლისი — შოტლანდია

მონანიების სამშაბათიდან ამ შაბათამდე

ამბობენ, 1823 წელს უილიამ ვებ ელისმა ფეხბურთის თამაშისას ბურთი ხელში აიტაცა და მოწინააღმდეგისკენ დაიძრაო. თითქოს ასე გაჩნდა ეს თამაშიო, თავად სახელწოდება, რაგბი კი იმ სკოლის სახელიდან მოდის, რომელშიც ფეხბურთს უილიამ ვებ ელისი თამაშობდა.

არავინ იცის, მართალია თუ არა ეს ამბავი, თუმც ის ვინმე მისტერ ბლოქსამსს აქვს აღწერილი, კაცს, რომელიც თურმე იმავ რაგბის სკოლაში სწავლობდა, რომელშიაც ელისი.

იმასაც ამბობენ, ვებ ელისის მამა, რომელიც ირლანდიაში მსახურობდა, იქაურ კელტურ თამაშს, „ქადს“ ეზიარა, რომელშიაც მოწინააღმდეგენი ერთმანეთის ცხვირპირის დანაყვის ხარჯზე ბურთის გატანას ლამობდნენო. უელსელები თვლიან, რომ „ქადი“ მათებური „კრიაპანის“ გვიანდელი ვარიანტია.

პირველი მატჩი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც დოკუმენტურადაა აღწერილი, 1175 წელს შედგა, ლონდონელმა ბერმა ვილიამ ფიცსტეფენმა ლათინურ ენაზე დაწერილ წიგნში „ლონდონის ისტორია“, დაწვრილებით აღწერა“... „როგორ ბურთაობენ ახალგაზრდები გაშლილ სივრცეში“. წიგნში მატჩის ზუსტი თარიღიც კი არის მინიშნებული, „მონანიების სამშაბათს“ ხდებოდა ეს ამბავიო, წერს ფიცსტეფენი. ვითომ რად არ უნდა მივიჩნიოთ ეს კაცი მსოფლიოში პირველ სპორტულ ჟურნალისტად?

მე-19 საუკუნეში. ჩელტენჰემის, ბრიუსბერის, ეტონის, რაგბის, მარლბოროსა თუ სხვა სკოლებში, რაგბის განსხვავებული წესებით თამაშობდნენ, სანამ 1845 წლის 28 აგვისტოს რაგბის სკოლამ ოფიციალურად არ მიიღო წესები. აქედან იწყება თამაშის რაგბისეული ვარიანტის პოპულარიზაცია და მალე ყველა სკოლამ საერთო წესებით დაიწყო თამაში.

დღეს 5 თებერვალია. საქართველოს სარაგბო ნაკრები პორტუგალიას სტუმრობს და შარშანდელი წყენისათვის შურისძიებას ეშურება, თუმც სარაგბო ევროპა სხვა ამბის მოლოდინშია, უფრო დიდი ამბის. 6 ერის თასის გათამაშება იწყება, ტურნირი, რომლის ისტორიაც თითქოს ისეთივე ძველია, როგორც თავად რაგბისა.

1848 წელს მიიღეს „კემბრიჯის წესები“, რომელიც შემდგომში მრავალი დავის საგანიც გახდა.

1871 წელს ლონდონში, ჩერინგ კროსზე, რეგენტის ქუჩაზე, რესტორან „პალმალში“ ედვინ ეშმა „რაგბის ტიპის თამაშის მოყვარულები“ შეკრიბა. მიიღეს პირველი ერთიანი სარაგბო წესდება და დაარსდა „რაგბის ფეხბურთის კავშირი“, რომელსაც დღესაც ასე ეწოდება.

აქედან იწყება საერთაშორისო რაგბის ისტორიაც, 1871 წელს პირველი ეროვნული ნაკრები, რომლებმაც ერთმანეთში ითამაშეს, შოტლანდია და ინგლისი იყვნენ. მოგვიანებით მათ ირლანდიაც ეთამაშებოდა ხოლმე, მაგრამ თანამედროვე 6 ერის თასის წინამორბედის ისტორია 1882 წელს იწყება, როდესაც სამეულს უელსიც შეუერთდა. ტურნირს თავიდან ერთა თასი ეწოდა, 1910 წლიდან მასში საფრანგეთიც ჩაერთო და 5 ერის თასი გახდა. 2000 წლიდან ხუთეულს იტალია შეუერთდა და ტურნირმაც დღევანდელი სახე მიიღო.

1882 წელს დავუბრუნდეთ. ინგლისის ნაკრები სვანსიაში ჩავიდა და უელსს მოუგო. ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა მაშინ, რომ ეს მატჩი საფუძველი გახდებოდა იმ ტურნირისა, რომელიც დღეს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სარაგბო სიამაყეს წარმოადგენს.

ქულათა სისტემა მაშინ არ არსებობდა და ხალხი გუნდების წარმატებას მხოლოდ მოგებების რაოდენობით აფასებდა. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ გამარჯვებულად ერთბაშად 2 ან 3 გუნდი ცხადდებოდა.

პირველი ტიტული ინგლისისა იყო. დროდადრო ჩემპიონს შოტლანდია ცვლიდა, თუმცა 1893 წელი ახლოვდებოდა, ამ წელს უელსი პირველად გახდა ჩემპიონი. მნიშვნელოვანი რამ იყო მათი გამარჯვება რაგბის ისტორიისათვის, რადგანაც ამ წარმატებამ, მათ მიერვე გამოგონილი ახალი სისტემის მართებულობა დაამტკიცა. უელსელებმა პირველებმა გამოიყენეს „ოთხი სამმეოთხედელი“ და მეზობლებს დაანახვეს, რომ 6 უკანახაზელითა და 9 ფორვარდით თამაშის ხერხი მოძველდა. მას შემდეგ ყველა ნაკრებმა და კლუბმა ოთხი სამმეოთხედელით დაიწყეს თამაში.

სანამ მე-19 საუკუნე დადგებოდა, სამჯერ ირლანდიამაც მოიგო ერთა თასი და ისე გამოვიდა, რომ ახალ საუკუნეს, არც ერთი სარაგბო ნაკრები არ შეხვედრია უტიტულოდ.

მე-20 საუკუნის დასაწყისშიც კარგად ირჯებოდნენ უელსელები. მართალია, ტიტულს სხვებიც ეუფლებოდნენ, განსაკუთრებით ხშირად კი ინგლისი, მაგრამ მათი ოქროს ხანა 1910 წლიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც ინგლისის „რაგბი-ფეხბურთის კავშირი“ თვიქნემში გაიხსნა. აქედან მოყოლებული, სიტყვები — „თვიქნემი“ და „ინგლისური რაგბი“ განუყოფელია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა 1910 წელს. ტურნირს საფრანგეთი შეუერთდა და ამის გამო მას „5 ერის თასი“ დაერქვა. პირველ ოთხ წელიწადში ფრანგებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს, ისიც 1 ქულით შოტლანდიასთან. 1926 წელს. ინგლისმა ისტორიაში პირველად წააგო თვიქნემში. მათი დამმარცხებლები შოტლანდიელები აღმოჩნდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იან წლებამდე უელსი და ირლანდია ყოჩაღობდნენ ყველაზე ხშირად, შემდეგ კი, 50-60იან წლებში, ფრანგების ჯერი დადგა. 70-იანი წლები კი უელსელთა ოქროს ხანადაა შესული რაგბის ისტორიაში.

დრომ მოიტანა და ტურნირის საზღვრების გაფართოება გახდა საჭირო. ხალხი უკმაყოფილო იყო იმით, რომ 90-იან წლებში ფრანგები და ინგლისელები უპირობოდ დომინირებდნენ. ამიტომაც 2000 წელს ტურნირში იტალიაც მიიწვიეს. მათ ჯერ არაფერი მოუგიათ და საერთოდაც 6 ერს შორის ერთადერთნი არიან, ტიტული ერთხელაც რომ არ რგებიათ.

ყველაზე მეტჯერ პირველობას ინგლისელებმა უწიეს, 23-ჯერ. ერთით ნაკლები, 22 გამარჯვება აქვთ უელსელებს. შოტლანდიელები 14-ჯერ გაჩემპიონდნენ, ფრანგები კი 12-ჯერ, ბოლო ადგილზე ირლანდიაა 10 ტიტულით

ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 2-3 თებერვალი

ორი კაცი კალათბურთშიც ბრალია

ბოისა ევროლიგასთან ვალმოხდილია



პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ტურით ადრე გაირკვა, რომ ლიუბლიანის „ოლიმპია", რომელსაც ჩვენებური ვლადიმერ ბოისა კაპიტნობს, ევროლიგის მეორე ეტაპზე ვერ გავიდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ოლიმპიელებმა ევროპის უმაღლესი რანგის ტურნირის პირველი ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეს. ევროლიგაშიც და მის წინამორბედ სუპროლიგაშიც სლოვენიური გრანდი ყოველთვის გადიოდა ჯგუფიდან.

„ოლიმპიამ" ამ სეზონში არაერთი დასანანი მატჩი წააგო და ამიტომაც ჩარჩა ჯგუფში, თორემ არავისზე ნაკლები რომ არაა, თითქმის ყოველ თამაშში ამტკიცებდა. თუნდაც ეს ბოლო ტური ავიღოთ, რომელშიც ლიუბლიანელები თვით ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ „მაკაბის" თავისივე მოედანზე გაუძალიანდნენ. თელ ავივში რომ მოსაგებად გაიწევ და „მაკაბის" უმეტესწილად მდევრის როლში ამყოფებ, ჯგუფში ჩარჩენის ღირსი არ ხარ, მაგრამ...

ერთი შეხედვით, „ოლიმპიას" აქვს ჯგუფში მეექვსე ადგილის დაკავების შანსი, თუ ბოლო ტურში მისი კონკურენტი „სკავოლინი" წააგებს და თავად ლიუბლიანელები იმარჯვებენ, მაგრამ აქ ურთიერთშეხვედრები წყვეტს ყველაფერს. სლოვენიელებს იტალიელებზე ბევრად უკეთესი ბურთების შეფარდება აქვთ, მაგრამ მათთან ორჯერვე დამარცხდნენ და ამიტომაც არიან უშანსოდ.

ოლიმპიელებმა იცოდნენ, რომ თელ ავივში წაგებით მეორე ეტაპზე თამაშის შანსს ეთხოვებოდნენ და განსაკუთრებით მოინდომეს. სლოვენიური გუნდი თავიდანვე სოლიდურად დაწინაურდა და კარგა ხანს ლიდერობდა, თუმცა ძალა ბოლომდე არ გაჰყვა.

ბოისამ ახლაც შესანიშნავად ითამაშა, შედეგიანობით ოლიმპიელთაგან მას მხოლოდ ოზბოლტმა აჯობა, რომელმაც ვოვაზე ორით მეტი, 20 ქულა მოაგროვა. ამ ორისა და მარიან მანჩეს წყალობით, „ოლიმპია" მეხუთე წუთისთვის უკვე 20:9 იგებდა, თუმც მასპინძლებმა წუთშესვენება აიღეს და სამი სასტარტო მოთამაშის შეცვლით თამაში გამოასწორეს. მოედანზე შემოსულმა დერეკ შარპმა და მაიკლ ბასტონმა ანგარიში საგრძნობლად შეამცირეს — 19:26 პირველი მეოთხედის შემდეგ.

„ოლიმპია" მეორე ათწუთეულშიც ყოჩაღად იდგა და კვლავ ვლადიმერ ბოისას აქტიური თამაშით ინარჩუნებდა ლიდერობას. ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა ებრაელები ერთი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდნენ ოლიმპიელებს, ბოისამ მიჯრით სამი ორქულიანი ჩააგდო და სტუმართა ლიდერობა კვლავ სოლიდური გახადა. ტაიმის მიწურულს ძალამ მაინც მოხნა აღმართი და „მაკაბი" დიდ შესვენებაზე ორქულიანი ჩამორჩენით გავიდა — 41:43.

ნათქვამია, მესამე მეოთხედის მომგები მატჩსაც იგებსო და ეს ამ თამაშშიც გამართლდა. ვეება ბასტონს ლიუბლიანელებმა ვერაფერი მოუხერხეს და „მაკაბიმ" პირველად თამაშის 25-ე წუთზე მოიპოვა ლიდერობა — 51:50.

გადამწყვეტი ათწუთეულის დაწყებამდე ვერავინ იფიქრებდა, თუ ოლიმპიელები კუდს მოიქნევდნენ, რაკი „მაკაბი" 5 ქულით იგებდა და თან თამაშის სადავეებიც ეპყრა ხელთ. თუმცა სტუმრები მოულოდნელად აფეთქდნენ და უკანასკნელი ძალების მაქსიმალური მობილიზებით ებრაელებს ქულით მიუახლოვდნენ.

როგორც ევროპელი ჟურნალისტები იუწყებიან, ოლიმპიელთა ეს გამოღვიძება ორი მოთამაშის — ვლადიმერ ბოისას და ანდრეს როდრიგესის დამსახურებაა. სტუმრებს იმედი მიეცათ, მაგრამ ბოისას და როდრიგესს დანარჩენები ვერ მიეხმარნენ, ორი კაცი კი კალათბურთის თამაშშიაც ბრალია...

„ოლიმპიამ" წააგო და ევროლიგას გმირულად ემშვიდობება. ლიუბლიანელები ტურნირის ბოლო შეხვედრას 10 თებერვალს შინ ბერძნულ აეკ-თან გამართავენ და სავარაუდოდ, ეს იქნება ბოისას უკანასკნელი საევროლიგო მატჩი „ოლიმპიას" მაისურით. მას ამ სეზონის ბოლოს ექვსწლიანი კონტრაქტი უმთავრდება ლიუბლიანელებთან და თუ მის შედეგიანობას გავითვალისწინებთ, მსურველი ბობოლა გუნდების რიგი უნდა დაუდგეს.

„ოლიმპია" გავაცილეთ და ახლა დანარჩენებზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა, თუმცა ბევრიც აღარაფერია სალაპარაკო, რადგან მომდევნო ეტაპზე გამსვლელი 16 გუნდიდან 14 უკვე ცნობილია.

გასულებს ცხრილში ნახავთ, რომლებსაც ამ სამი გუნდიდან — „ულქერი", „სკავოლინი", „უნიკახა" — ორი დაემატება და ოთხი ოთხგუნდა ჯგუფი შეიქმნება. ყველაზე უარესი შანსი „უნიკახას" აქვს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ბოლოს ცსკა-ზეც ვთქვათ, რომელსაც ერთი ნაბიჯი აკლია სრულიად საევროლიგო რეკორდამდე. თუ არმიელები 9 თებერვალს ფრანკფურტში უმოტივაციო „სკაილაინერზს" აჯობებენ, პირველები იქნებიან, ევროლიგის საწყის ჯგუფურ ეტაპზე რომ არ დამარცხებულან.

ირაკლი პერტაია

A ჯგუფი

ესტუდიანტესი 90:84 რეალი

ესტუდიანტესი: გარსერი (19), სუარესი (15)
რეალი: გელებილი (19), რეიესი (18)

ეფესი 90:54 ოლიმპიაკოსი

ეფესი: პეკერი (20), კუჟო (11)
ოლიმპიაკოსი: მეისონი (15), გულიაში (12)

კლიმამიო 71:63 პროკომი

კლიმამიო: ნორბეკი (17), ლანჩიკი (16)
პროკომი: იაგოდნიკი (20), მილერი (15)

ციბონა 85:76 პარტიზანი

ციბონა: ომერპოჯიჩი (13), სესარი (13), როზიჩი (13), პოპოვიჩი (13)
პარტიზანი: ბოგდანოვიჩი (18)

კლიმამიო	13	11	2	+94	24
ეფესი	13	11	2	+121	22
ციბონა	13	8	5	+52	21
რეალი	13	7	6	+38	20
პროკომი	13	6	7	-52	19
ესტუდიანტესი	13	4	9	-25	17
ოლიმპიაკოსი	13	3	10	-137	16
პარტიზანი	13	2	11	-91	15

B ჯგუფი

მაკაბი 95:92 ოლიმპია

მაკაბი: პარკერი (22), ბასტონი (16)
ოლიმპია: ოზბოლტი (20), ბოისა (28 წუთი, 18 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა)

სიენა 70:74 ფალგირისი

სიენა: მაიერსი (16), სტეფანოვი (13)
ფალგირისი: ბერდი (20), სალენგა (13)

ვილერბანი 65:69 ბარსელონა

ვილერბანი: რუჟიჩი (19), ბეშოქი (12)
ბარსელონა: ბოდიროგა (17), ფუჩკა (16)

აეკ 78:72 სკავოლინი

აეკ: ბეილი (20), ინჩეკიჩი (13)
სკავოლინი: მოტოლა (18), პენი (18)

მაკაბი	13	10	3	+137	23
ბარსელონა	13	8	5	+24	21
ფალგირისი	13	7	6	-9	20
აეკ	13	7	6	0	20
სიენა	13	7	6	-66	20
სკავოლინი	13	6	7	-66	19
ოლიმპია	13	5	8	-22	18
ვილერბანი	13	2	11	-134	15

C ჯგუფი

ტაუ 90:69 სკაილაინერზი

ტაუ: პანსენი (21), სკოლა (18)
სკაილაინერზი: უილიამსი (20)

ცსკა 76:70 უნიკახა

ცსკა: ბრაუნი (21), ჰოლდენი (17)
უნიკახა: ბრემერი (19), რიზაშე (12)

ბენეტონი 91:73 პო ორტეზი

ბენეტონი: გარნეტი (16), მარკონატო (14)
პო ორტეზი: ჩატმენი (17), გოდუ (13)

პანათინაიკოსი 79:72 ულძერი

პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (18), ალვერტისი (13)
ულძერი: ერდოგანი (18), გლოვერი (15)

ცსკა	13	13	0	+102	26
ბენეტონი	13	8	5	+68	21
პანათინაიკოსი	12	7	5	+41	19
ულძერი	13	6	7	+30	19
ტაუ	13	6	7	+16	19
უნიკახა	12	3	9	-128	15
სკაილაინერზი	13	9	3	-128	15
პო ორტეზი	13.	3	10	-120	16

NBA რეგულარული ჩემპიონატი

3 თებერვალი

მემფისი 103:106 კლიპერსი

მემფისი: მილერი (16), ჯონსი (15), რაიტი (11 ქულა, 10 მოხსნა)
კლიპერსი: საიმონსი (26), იარიჩი (25), ბრენდი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ლეიკერსი 91:103 სან ანტონიო

ლეიკერსი: ოდომი (23 ქულა, 18 მოხსნა), ეტკინსი (18)
სან ანტონიო: პარკერი (22), როუზი (19 ქულა, 11 მოხსნა), დანკანი (17), ჯინობილი (17)

მაიამი 100:88 კლივლენდი

მაიამი: ონილი (26 ქულა, 12 მოხსნა), ე. ჯონსი (22), ვეიდი (20)
კლივლენდი: ჯეიმსი (31 ქულა, 10 პასი), ილგაუსკასი (23)

ეს ხომ გრანტ ჰილია!

ხალხმა ვარსკვლავები ჩამოყარა

გუშინწინ ამერიკული კალათბურთის გულშემატკივრებმა ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის დამწყები ხუთეულების შესადგენი გამოკითხვა დაამთავრეს. შედეგებს არავინ გაუკვირვებია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის რჩეულთაგან ერთ-ერთი სულ რაღაც 20 წლისაა. „კლივლენდ კავალიერზის" 203-სანტიმეტრიანმა მსროლელ-ფრთამ ლებრონ ჯეიმსმა ყველა სხვა აღმოსავლელ უკანახაზელზე მეტი მხარდაჭერა მიიღო და კობი ბრაიანტის შემდეგ ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლსტარელი შეიქნა. კობი 1998 წელს 19 წლისა გახლდათ, დასავლეთის ვარსკვლავთა დამწყებ ხუთეულში რომ აირჩიეს.

აღმოსავლეთის ხუთეულში ოთხწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ვხედავთ მრავალტანჯულ და ნაოპერაციევი იარებით ფეხდასერილ გრანტ ჰილსაც, რომელსაც 1995 წლიდან 2000-მდე ოლ სტარი არ გამოუტოვებია, შემდეგ ზუსტად ოთხი წელი მკურნალობდა აქილევსის მყესს. ახლა ჰილი ფორმაშია და ხალხმაც გამოკითხვაში ისეთი მტაცებლების წინ დააყენა, როგორებიც, ვთქვათ, ჯერმენ ონილი, ან ბენ და რაშიდ ვოლესები არიან.

აღმოსავლეთის დამწყებ ხუთეულში თავისთავად ჩაჯდა მაიამელი დეკკაი შაკილ ონილი, ვინაც „ლეიკერსში" თამაშისას, დასავლეთ კონფერენციის ხუთეულში ვერ ხვდებოდა ჩინელი იაო მინგის გადამკიდე, თუმცა კი მას ირიბი და არა პირდაპირი გაგებით ერთი თავით აღემატებოდა.

ტრადიციულად დიდ-დიდი ბიჭები შეყრილან დასავლეთში. ამათგან ყველაზე დაბალი ზემოთნახსენები კობი ბრაიანტი გახლავთ, ვინაც იატაკიდან 2 მეტრსა და 1 სანტიმეტრს აითვლის. უმაღლესი კი, მიხვდებით, 226-სანტიმეტრიანი იაო მინგია.

ეს დამწყებები, ხოლო აღმო-დასავლელ 7-7 სათადარიგოს სამშაბათისთვის დასახელებენ ნბა-ს გუნდების თავკაცები. ოლ სტარი 20 თებერვალს დენვერის „პეპსი სენთერში" გაიმართება.

უკვე გაირკვევა აღმოსავლელ ვარსკვლავთა თავკაციც — მათ „მაიამის" მწვრთნელ სტენ ვან განდი დამოძღვრავს. დასავლელ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს კი ან ფინიქსელი მაიკ დანტონი გაუძღვება მოედანზე, ან სანანტონიოელი გრეგ პოპოვიჩი. გააჩნია, რომელ გუნდს ექნება უკეთესი შედეგი ამ კვირაღღისთვის.

კოტე ყორღია

აღმოსავლეთი	დასავლეთი
ალენ აივერსონი (ფილადელფია)	კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)	ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი)
ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი)	კევინ გარნეტი (მინესოტა)
გრანტ ჰილი (ორლანდო)	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
შაკილ ონილი (მაიამი)	იაო მინგი (ჰიუსტონი)

ჭიდაობა



84 კილოგრამში რეზო მინდორაშვილმა იჩემპიონა

საპარნო და სააპრილო

ფეხში ხელი რა მოსაკიდებელია

საქართველოს ორივე სტილის მოჭიდავეებმა აქაური სეზონი გაზაფხულის დადგომამდე მოილიეს. „ბერძენ-რომაელების" დარად დიღმის დარბაზში გუშინ „თავისუფლებშიც" გაირკვა საქართველოს ჩემპიონები, ანუ ის შვიდი ფალავანი, რომლებიც აპრილში ევროფორუმზე ბულგარულ ხალიჩას შეესევიან.

მოკლედ, გუშინ ოთხ წონით კატეგორიაში (55, 66, 84 და მიძმე) გათამაშდა მედლები და რაიმე ხმაურიანი სენსაცია არ ყოფილა — ფავორიტების დღე იყო დიღომში.

უმჩატეს წონაში ლამაზად იჩემპიონა გორელმა ბესიკ გოჩაშვილმა. კარგად იცით, 55 კილოგრამი ჩვენი „თავისუფლების" აქილევსის ქუსლია და ათენის ოლიმპიადაზე ამ წონაში ფალავანი არ გვყავდა, თუმც გოჩაშვილი ჯერ ახალგაზრდაა და ალბათ, თავის საოქმელს მომავლისთვის ინახავს. გორელმა მოჭიდავემ ფინალის პირველ პერიოდში მინიმალური სხვაობით მოუგო მალხაზ ქურდიანს, მეორე ორწუთეულს კი აგებდა, თუმც ბოლო წამებში მომგებიანი გდება გააკეთა და დამატებით დროში აღარ გადაიყვანა საქმე.

66 კილოგრამიც გორელისა იყო — შალვა მუზიაშვილმა ფინალამდეც შეუცდომლად იჩაუქა, იქ კი სულაც ქულადაუკარგავად დაჯაბნა მიხეილ ზარქუა. ისე, არც ამ წონაში გვაქვს საათივით საქმე აწყობილი, აშკარა ლიდერი არ ჩანს, თუმც ღმერთმა ქნას, მუზიაშვილმა უცხოურ ხალიჩაზეც დიდმურად იყოჩაღოს. რაც შეეხება ამ წონის ყოფილ პირველ ნომერ ოთარ თუშიშვილს, მას საქართველოს ჩემპიონატში არ უჭიდავია.

რევაზ მინდორაშვილს 84 კილოგრამში რომ სანაკრებო მოცილე არ ჰყავს, ეს ერთხელაც დამტკიცდა. კახელმა ფალავანმა ჯგუფშიც მოუგო ათენმოვლილ გელა სალირაშვილს, რომელიც ადრე 74 კილოგრამში ჭიდაობდა. მინდორაშვილს ყველაზე მეტად ფინალში გაუჭირდა მიხეილ ჩიქოვანთან — პირველი პერიოდი 0:0 დასრულდა და ახალი წესების თანახმად, რომელიმე მოჭიდავეს კენჭისყრით ფეხში ჩავლებით ეძლეოდა უპირატესობა. „არიოლ-რეშკამ" რეზოს გაუმართლა და მანაც მომენტალურად გაახერხა მომგებიანი გდება. ისე, ამ წესის უგუნურობაზე ბევრს ლაპარაკობენ. ასეა თუ ისე, მინდორაშვილმა პირველ პერიოდს მეორეც მიაყოლა და ჩემპიონობაც ირგუნა.

უმძიმეს წონაში მთავარი ბრძოლა ფინალამდე ვიხილეთ. ლექსო მოდებაძისა და დავით ოთიაშვილის ორპერიოდიანი ჭიდილი ფრედ დასრულდა, დამატებით დროში კი ოთიაშვილმა ორქულიანი ფანდით ფინალში გაიკვალა გზა, სადაც ზედმეტი ნერვიულობის გარეშე აჯობა კობა კერესელიძეს - 2:0, 6:1. ისიც სათქმელია, რომ ამ წონის ფავორიტ მოდებაძეს ხელი აწუხებდა, თუმც ოთიაშვილზე ეს ოქრო ალალი იყო.

შედეგად, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელი შვიდეული გაარკვიეს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ნაკრების ახალი მწვრთნელი ზაზა ტყეშელაშვილი (იგი ოფიციალურად ჯერ არ დაუნიშნიათ, თუმც ეს მცირე დროის ამბავია) ვარნაში ასეთ შვიდეულს იახლებს: ბესიკ გოჩაშვილი (55კგ), კობა კაკალაძე (60კგ), შალვა მუზიაშვილი (66კგ), დავით ახალმოსულიშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), გიორგი გოგშელიძე (96კგ) და დავით ოთიაშვილი (120კგ)

ილია ნანობაშვილი

55კგ

1 ბესიკ გოჩაშვილი (გორი)
2 მალხაზ ქურდიანი (თბილისი)
3 გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი)
3 ამირან ელბაქიძე (გორი)

66 კგ

1 შალვა მუზიაშვილი (გორი)
2 მიხეილ ზარქუა (აფხაზეთი)
3 ჯონი ჯინჭარაძე (აჭარა)
3 მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი)

84 კგ

1 რევაზ მინდორაშვილი (თბილისი)
2 მიხეილ ჩიქოვანი (თბილისი)
3 გელა სალირაშვილი (თბილისი)
3 ლაშა ქეთიშვილი (თბილისი)

120 კგ

1 დავით ოთიაშვილი (თბილისი)
2 კობა კერესელიძე (ამბროლაური)
3 კობა ბზიკაძე (თბილისი)
3 გიორგი არქევანაშვილი (გურჯაანი)

ჰოკეი

ყველაფერი ბეტმენ-გუდენაუზე ჰკიდია

უზომოდ გაწელილი სერიალი — „ლოკაუტი ანუ როგორ გადავარჩინოთ სეზონი", დასასრულს უახლოვდება. შაბათ დილას (ჩვენი დროით) ალბათ ყველაფერი გაირკვევა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში რიგით მეექვსე შეხვედრაზე გახდება ცხადი, ჩატარდება თუ არა წლეულს ნჰლ-ის ჩემპიონატი.

ოთხშაბათს ლიგამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი ახალი პროექტი წარადგინა. ნჰლ გარკვეულ დათმობებზე წავიდა. მათ შორის უმთავრესი ხელფასების ჭერის 42 მილიონ დოლარამდე გაზრდა გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ წინა ვარიანტში ეს ციფრი 31 მილიონი იყო. ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ლიგამ კვლავ მოითხოვა, რომ ხელფასების ჯამი არ აღემატებოდეს შემოსავლის 53-55 პროცენტს. თუ ამას გავითვალისწინებთ, 42 მილიონი ფაქტობრივად არარეალური ციფრია. ლამის ლიგის ნახევარ კლუბებს, მაგალითად, „კალგარის" თუ „ფინიქსს", არც დაესიზმრებათ ამგვარი შემოსავლები. გარდა ამისა, ლიგამ მოითხოვა, რომ ცალკეული მოთამაშის ხელფასი არ აღემატებოდეს 6 მილიონ დოლარს. ამას კიდევ რამდენი წინადადება მოჰყვა, რომლებიც პირველ რიგში კონფლიქტების საარბიტრაჟო კომისიაში განხილვას ეხებოდა. ნჰლ აქაც დათმობაზე წავიდა, თუმც იმ პირობით, რომ ხელფასების მომატებას სასამართლოც შეზღუდავს.

ცხადია, ასეთი პროექტი პროფკავშირის წარმამადგენელთა მოწონებას ვერ დაიმსახურებდა. ნჰლპა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა გულახდილად განაცხადა, რომ ეს კიდევ უფრო მიუღებელი ვარიანტია — ნახეთ, ახლა ერთი ჭერის ნაცვლად სამს გვთავაზობენო.

ხუთშაბათს მხარეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და ლიგამ კიდევ რამდენიმე ცვლილება შეიტანა პროექტში (მაგალითად, თავისუფალი აგენტის ზღვარი ერთი წლით 31-დან 30-მდე შეამცირა, თუმც ოპონენტებმა ეს ვარიანტიც უარყვეს. ერთხანს ისეთი გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა, რომ სეზონის გადარჩენის არანაირი იმედი აღარ არსებობდა, მაგრამ პროფკავშირმა მოლაპარაკებაში ლიგისა და ასოციაციის პირველი პირების, გერი ბეტმენისა და ბობ გუდენაუს ჩართვა მოითხოვა (შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ისინი მოლაპარაკებებს არ ესწრებოდნენ). ამის გამო ხუთშაბათ საღამოს კიდევ ერთი შეხვედრა ჩატარდა. თავდაპირველად საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ პარასკევს სეზონი ოფიციალურად გაუქმდება, მაგრამ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ პარასკევს მოლაპარაკება გაგრძელდება.

ახლა ამ შეხვედრის მოლოდინში ვართ, ხუთშაბათ საღამოს კი მხარეებმა საკმაოდ დიდხანს, 5 საათს ითათბირეს, რაც იმედის საბაბს იძლევა.

მოვლენების განვითარების ორი სავარაუდო ვარიანტი არსებობს: ან ბეტმენ-გუდენაუს მოლაპარაკება სავსებით ფორმალურ სახეს მიიღებს, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ საბოლოო ვერდიქტის გამოტანა, ანაც აღმოჩნდება შანსი, რომ 2004-05 წლების სეზონი გადარჩეს.

ახლა ყველაფერი გუდენაუს ხელშია, რადგან, ავია თუ კარგია, ინიციატივა ბოლოს ლიგამ გამოიჩინა.

სამველ ღარიბიანი

მძლეოსნობა

ბოლომდე მივიდა

რობერტ კორჟენიოვსკი სპორტს დაემშვიდობა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში პოლონეთიდან მოსული ოფიციალური წერილის თანახმად, კარიერა დაასრულა მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სპორტული სიარულის ოსტატმა, რობერტ კორჟენიოვსკიმ. 36 წლის პოლონელი სპორტს მსოფლიოს, ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონის რანგში გამოეთხოვა. მასვე ეკუთვნის მსოფლიოს რეკორდი 50 კილომეტრზე სიარულში.



აღსანიშნავია, რომ დიდმა სპორტსმენმა გაიმარჯვა ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე — 1996 წელს ატლანტაში, 2000 წელს სიდნეიში და 2004 წელს ათენში. სწორედ მესამე ტრიუმფის შემდეგ გახდა ფართო საზოგადოებისთვის ნათელი, რომ დიდების მწვერვალზე მყოფი კორჟენიოვსკი ახლა, მეტად მოხერხებულ დროს დაანებებდა მძლეოსნობას თავს. მართალია, სექტემბერში იგი 5000 და 10 000 მეტრზე შეჯიბრებებში კიდევ მონაწილეობდა, მაგრამ საკითხავი უკვე მხოლოდ ერთიღა იყო, როდის გამოაცხადებდა სპორტიდან წასვლის ამბავს ოფიციალურად. ახლა კი უკვე ყველაფერი გარკვეულია.

ტუტა სიხარულიძე



ცურვა

დრამატული ამბები ტრაგედიითაც დამძიმდა

სანქლოსნო სახეობებში ამ ზაფხულს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის დრამატულ ამბებს ტრაგედიაღა აკლდა და ისიც მიიღო. ორიოდე დღის წინათ, საღამოჟამს საკუთარ ავტომობილში მკვდარი ნახეს მონრეალში გასამართი ამ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი, 59 წლის ივონ დეროში. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობა ეტყობოდა. იქვე იყო იარაღიც. პოლიციის პირველი ვარაუდი თვითმკვლელობაა

ბოლო ხანს, დეროშს კანადურ პრესაში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. მას ულმობლად აკრიტიკებდნენ მონრეალში გასამართი ჩემპიონატის წარუმატებელი ორგანიზებისთვის. კერძოდ, როგორც ვიუწყებოდით, საორგანიზაციო კომიტეტმა სპონსორთა რაოდენობა მოისაკლისა და ფინანსური პრობლემების წინაშე დადგა. ამის გამო ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) მონრეალს ეს ჩემპიონატი ჩამოართვა. თუმცა შემდეგ მონრეალის მერმა, ჯერალდ ტრემბლიმ ეს ფაქტი მეტად სამარცხვინოდ მიიჩნია და ქალაქის პრესტიჟის დასაცავად განაცხადა, ყველაფერს ვიღონებ, რომ ჩემპიონატი უკან დავაბრუნოო.

ამასობაში, ამ ჩემპიონატის მასპინძლობა ათენმა და ბერლინმა მოინდომა. შემდეგ მათ პარიზი და მოსკოვი შეუერთდა და სათანადო განაცხადებიც დაიდო, მათგან მასპინძლის ვინაობა კი საბოლოოდ 15 თებერვალს გაირკვევა.

თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ახლა პარიზი უარს ამბობს ჩემპიონატის მიღებაზე და თავისი განაცხადი ფინა-დან უკან გაიტანა.

პარიზელები თავდაპირველად გეგმავდნენ, რომ ეს შეჯიბრება ჩაეტარებინათ ამჟამად მშენებარე აუზში, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის იგება. მიიღებს თუ არა პარიზი ამ ოლიმპიურ თამაშებს, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მანამდე კი გასარკვევი მოცურავეთა ამ ჩემპიონატის ბედია. ახლა, როგორც საფრანგეთის ეროვნული ცურვის ფედერაციის კომუნიკეშია ნათქვამი, გამოთვლებმა დაადგინეს, რომ აუზის მშენებლობა 2009 წლამდე ვერ დამთავრდება. პროექტის შესაბამისად, ამ აუზის აგება მხოლოდ 2011 წელს დასრულდება.

ავთანდილ ჭყვიშელი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
გამოთქვამს ღრმა მწუხარებას საქართველოს
პრემიერ-მინისტრის ბატონი
ზურაბ ჟვანიას
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს
განსვენებულის ოჯახს.

უილიამსი

BMW. WILLIAMS F1 TEAM
გუნდი დაარსდა 1968 წელს
ფორმულა 1-ში გამოდის 1972 წლიდან
489 რბოლა; 113 მოგება; 124 პოული; 128 უსწრაფესი წრე; 2435,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული 7
კონსტრუქტორთა თასი 9
2004 წელს დაიკავა მეოთხე ადგილი (88 ქულა)
გუნდის თანამფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი
სერ ფრენკ უილიამსი
თანამფლობელი და ტექნიკური დირექტორი **პატრიკ ჰედი**
„BMW მოტორსპორტის" დირექტორი **მარიო თისენი**
ბოლიდი **„უილიამს — BMW FW27"**
ძრავა **BMW P84/5**
საბურავები: **„მიშლენ პილოტი"**



მარკ ვებერი

ავსტრალია
დაიბადა 1976 წლის 27 აგვისტოს ქუინბინში
ცხოვრობს მარსლიში (ინგლისი)
სიმაღლე 185 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფ1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2002)
50 რბოლა; 26 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი მეათე ადგილი (2003)
2004 წელს XIII ადგილი (7 ქულა)
გუნდები: „მინარდი" (2002), „იაგუარი" (2003, 04)
„უილიამსშია" 2005 წლიდან



ნიკ ჰაიდფელდი

გერმანია
დაიბადა 1977 წლის 10 მაისს მიონხენგლადბაღში
ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 164 სმ; 59 კგ
დებიუტი ფ1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
84 რბოლა; 28 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი მერვე ადგილი (2001)
2004 წელს XVI ადგილი (3 ქულა)
გუნდები: „პროსტი" (2000), „ზაუბერი" (2001-03) „ჯორდანი" (2004)
„უილიამსშია" 2005 წლიდან

ქვიკ ნიკი და უილიამსი ვეშაპთან არიან

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

შარშანდელი სეზონი სერ ფრენკ უილიამსის გუნდისთვის ბოლო ხუთ წელიწადში ყველაზე უხეირო იყო: 18 რბოლაში მხოლოდ კინკილა მოგება და კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე ადგილი. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ „სამეფო რბოლების" ისტორიაში შედეგ-მიღწევებით სამეულში მყოფ საჯინიბოსთვის ეს სამარცხვინო ჩაფლავებაა.

თუმც ეს არ გამხდარა „უილიამსიდან" ორივე პილოტის წასვლის მიზეზი. ხუან პაბლო მონტოიამ ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე გაიფორმა „მაკლარენთან" კონტრაქტი. მაშინვე დადიოდა ხმები რალფ შუმახერის „ტოიოტაში" გადასვლაზეც, რაც ზუფხულში ოფიციალური ხელშეკრულებით დადასტურდა და ხუთწლიანი ჯირითის შემდეგ პატარა შუმიმ გუნდი დატოვა.

ამრიგად, სერ ფრენკი ხელცარიელი დარჩა და, უკვე მერამდენედ, თავიდან მოუწია ახალი საჯინიბოს შენება. ერთი მძღოლი მალე გამონახა — 28 წლის ავსტრალიელი მარკ ვებერი, მის მეწყვილეზე კი კარგა ხანს ყოყმანობდა. მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა ჯენსონ ბატონის ბარ-იდან გადმობირება, ბოსმა კანდიდატებად გუნდის ტესტ-დრაივერი ანტონიო პიცონია და „ჯორდანიდან" აბარგებული ნიკ ჰაიდფელდი გამოაცხადა. უილიამსი თავიდან უკვე შეჩვეულ პიცონიასკენ იხრებოდა, თუმც მაინც მოცდა და პრეტენდენტების საიანვრო ტესტებზე დამატებით შემოწმება მოინდომა, ვერდიქტიც ამის შემდეგ, ვალენსიაში პრეზენტაციისას გამოაცხადა.

ესპანეთში ვარჯიშებზე ჰაიდფელდმა, სწრაფად და უავარიოდაც იქროლა, ორ-სამჯერ ბრაზილიელზე უკეთესი შედეგი აჩვენა და საბოლოოდ საკითხიც მის სასარგებლოდ გადაწყდა. გასათვალისწინებელი იქნებოდა ისიც, რომ „უილიამსის" ძრავებით მომმარაგებელ გერმანულ სუპერკონცერნ BMW-ს ხელმძღვანელობას მუდამ სურს ერთ ბოლიდს მაინც გერმანელი მრბოლი მართავდეს.

„ქვიკ ნიკ" (სწრაფი ნიკი), რომლისთვისაც წლევანდელი სეზონი მეექვსეა, პირველად მიუჯდება კონკურენტუნარიან, საჩემპიონო გაქანების მანქანას. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდას აზრით, შესანიშნავი ტექნიკის მქონე მძღოლს დიდი წარმატების მიღწევა შეუძლია და შანსი აქვს, გახდეს საუკეთესო გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერის შემდეგ.

პიცონია, ცხადია, გულგატეხილია და მეტესტედ დარჩენას იქნებ ამერიკულ „კარტის" სერიაში დაბრუნება ამჯობინოს.

ახალმა „უილიამსმა" გამოცდისას მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა, თუმც, ბუნებრივია, არის მცირე ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრასაც ტექპერსონალი ჩემპიონატამდე დარჩენილ ერთ თვეში აპირებს. რეგლამენტში ცვლილებების შესაბამისად, ძრავაშიც და მთლიანად ბოლიდშიც საკმაოდაა კონსტრუქციული სიახლეები.

აღსანიშნავია, რომ ისედაც შემლებული საჯინიბო უფრო მოღონიერდება უმდიდრესი კალიბრის სპონსორის — „შოტლანდიის სამეფო ბანკის" მრავალმილიონიანი ინვესტიციით. სერ ფრენკის მანქანები ამ ფინანსური ვეშაპის ლოგოებით იჯირითებენ და არა მხოლოდ 2005 წელს.

გია ახალაძე



საახალი ჭადრაკი

სალაღობო ამბავი მესამე ჩემპიონის ცხოვრებიდან

ხოსე რაულ კაპაბლანკა 19.11.1888 — 08.03.1942

მსოფლიოს ჩემპიონთაგან, რომლებსაც მე შევხვედრივარ, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კაპაბლანკამ მოახდინა — წერდა მიხეილ ბოტვინიკი. კაპაბლანკა მსოფლიოს მესამე ჩემპიონი და ქალთა გულების მპყრობელი იყო. დღეს ამ დიდ კუბელ'ზე გიამბობთ, მომდევნო შაბათს კი მეოთხე ჩემპიონს, ალექსანდრ ალიოხინს გავიხსენებთ

სუვენირები გაუყიდავი დარჩა

კაპაბლანკას სასიყვარულო თავგადასავლებზე ლეგენდები დადიოდა. ერთი პიკანტური ისტორია მას 1925 წელს, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის დროს შეემთხვა.

დასვენების დღეს, უფრო სწორად კი საღამოს, კაპაბლანკამ სასტუმროს ნომერში სუვენირებით მოვაჭრე გოგონა მიიწვია. სასტუმროს ადმინისტრატორმა, ჭეშმარიტმა საბჭოელმა მოქალაქემ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტში დარეკა და კუბელის ღამეულ სტუმარზე მოახსენა. კომიტეტიდან სასწრაფოდ დარეკეს კაპაბლანკას ნომერში და კუბელ დიდოსტატს დელიკატურად აუხსნეს, ჩვენს ქვეყანაში სასტუმროს ნომერში სტუმრების მიპატიჟებას თავისი დრო აქვსო.

კაპაბლანკა გაცოფებული იყო, სუვენირების არჩევა არ მაცალესო.

მაგნატმა შემტყუნა

იმავე 1925-ში, იმავე ტურნირის დროს მოსკოვში ხმები დაირხა, კაპაბლანკა ამერიკული საავტომობილო მაგნატის ჰენრი ფორდის სიძეაო. ერთ-ერთი საჯარო შეხვედრისას კაპაბლანკას ამის თაობაზეც ჰკითხეს. ხოსემ ამოიოხრა და აღიარა: დიახ, ვაპირებდი ჰენრი ფორდის სიძე გავმხდარიყავი, მაგრამ ფორდმა დამაღალატა, შვილები მხოლოდ ბიჭები ჰყავს.

ჩემპიონის დანებება

ისევ იმ 1925 წელს და ისევ იმ მოსკოვის ტურნირის მსვლელობისას კაპაბლანკას მოყვარულ მოჭადრაკეებთან ერთდროული თამაშის სეანსის ჩატარება სთხოვეს. ჩემპიონი დათანხმდა.

ოცდაათიდან ერთ-ერთ დაფასთან პიონერთა სასახლის ჩემპიონი, მოსავალში თეატრის მსახიობი ულამაზესი გოგონა იჯდა. როცა მისი ჯერი მოვიდა, გოგონამ პირველი სვლა გააკეთა და კაპაბლანკას შეშინებულმა ახედა. კაპაბლანკა ამ გამოხედვამ მოხიბლა, თავისი მეფე მაშინვე დაფაზე დააწვინა, დაიხარა და გოგონას წასჩურჩულა: „ნებდებით.

დანარჩენი 29 პარტია კაპაბლანკამ მოიგო.

ანდერძი

კაპაბლანკა ერთადერთი მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ანდერძი რომ დატოვა. თანაც მან ანდერძი სიკვდილამდე ბევრი წლით ადრე დაწერა.

კაპაბლანკა ნაღდი არისტოკრატი იყო და ანდერძიც არისტოკრატს რომ შეეფერებოდა, ისეთი დაწერა. შვილს ასეთი დარიგება დაუტოვა: „პირველ რიგში, ადვოკატი უნდა გამოხვიდე, საკუთარი თავის და ოჯახის ინტერესების სრულფასოვნად დაცვა რომ შეძლო. გარდა ამისა, საუკეთესო მოცურავე და მოკრივე უნდა იყო. ეს შენ თავდაჯერებულობას შეგმატებს ზღვაზეც და ხმელეთზეც..."

და როგორ დადის მხედარი?

ერთხელ, ერთდროული თამაშის სეანსისას, მეტოქემ, რომელიც კაპაბლანკამ ძალიან სწრაფად დაამარცხა, ჩემპიონს ჰკითხა, ჩემი თამაშის სტილზე რას იტყვითო.

მუდამ თავაზიანმა კაპაბლანკამ უპასუხა: საკმაოდ კარგად, არასტანდარტულადაც აზროვნებთ, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, მხედრებიც გამოგეყენებინათ. თქვენ ისინი ადგილიდანაც არ დაგიძრავთ.

სვლები მხოლოდ გუშინ მასწავლეს — აღიარა მეტოქემ — მხედრის მოძრაობის წესი კი ვერ დავიმახსოვრე.

არტემ გეშაკოვი

ყატარის გზაზე

გრძელდება ყატარის ტური: გზა უდაბნოში და ბედუინთა ძროხებში. მეორე ეტაპი, 169 კილომეტრის სიგრძისა, ალ ზუბარადან დოჰამდე იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ მოიგო. ლიდერის ოქროსფერი მაისურა კი კვლავაც დანიელ ლარს მიკაელსენს მოსავს.



REUTERS დოჰიდან

ვენდი გლობის კაცები

ვინსენ რუმ (მარცხნივ) ვენდი გლობის რეგატა მოიგო, ჟან ლე კამი (მარჯვნივ) კი მეორე იყო. ლე სებლ დ'ოლონის ნავსადგურში დასრულდა შესვენებათა გარეშე მიმდინარე მარტოკაცთა რეგატა, რომელიც 87 დღეს გრძელდებოდა.

REUTERS ლე სებლ დ'ოლონიდან

REUTERS ბანგკოკიდან

სერენა ისვენებს

ბანგკოკის განთქმული ემერალდის ტაძარი. სერენა უილიამსს შეუძლია ტურისტად იგრძნოს თავი და დაისვენოს. ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ სერენა დედასთან ერთად ტაილანდშია.

სუპერბოულზე

წლევანდელი სუპერბოული, ამერიკული ბურთაობის XXXIX ფინალი ჯექსონვილში გაიმართება. იქ ერთმანეთს „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი“ და „ფილადელფია იგლზი“ შეერკინებიან. ცხადია, სუპერბოულზე ვარსკვლავთცვენა იქნება. იმათ შორის ერთ-ერთი კი სერ პოლ მაკარტნია.



REUTERS ჯექსონვილიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge